

# მედეა



№10 2016 წ.

კავკასიის მსოფლიო კულტურის ცენტრი  
ასტროლოგიის ინსტიტუტი, ცეცხლოვან ცენტრთა  
ცეცხლოვანი მოვლენების შემსწავლელი ინსტიტუტი  
“ გ უ ლ ი ”

ლამაზად შეილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა!

ვაჟა-ფშაველა

## სარჩევნი

1. წინასიტყვაობა .....	3	8. სოკრატეს გამონათქვამები .....	37
2. ძალა და ძალადობა .....	8	9. ცხრაკლიტულის ტყვე .....	38
3. გაბრიელ გარსია მარკესის გულის ლოცვა .....	14	10. პატივისცემის ძალა .....	43
4. ასტროლოგიის უახლესი იდეოლო- გიის საფუძვლები .....	17	11. პლატონი .....	48
• იგავი ჰოროსკოპის ნიშნებზე .....	18	12. რისთვის მოვიდნენ ადამიანები დედამიწაზე? .....	48
• სატურნის ზოდიაქო, ანუ საათის უკვ- დავების კანონების რეალიზება.....	22	13. დედა ტერეზა .....	49
5. ძიება .....	24	14. აგნი იოგა .....	50
6. ბრმა და ბუდა .....	26	15. იერუსალიმის მოხსენება .....	52
7. სიყვარულის შესახებ წარმოდგენების განვითარება .....	29	16. სულის ძახილი .....	54

მთავარი რედაქტორი: თამაზ თავაძე  
ლიზიანი ზაქარია ტატიანაშვილისა






მის: თბილისი, ანა კალანდაძის

(ყოფილი ბულაჩაურის) 7

მობ: 599-96-99-11

www.agniyoga-geo.com

Email: tpt3839@mail.ru



**მეფეა**


№8 თებერვალი 2015

**კუძა** თბილისი, პრეზიდენტის სასახლე

**კომუ** ბატონ პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს

**OT KOPO** კავკასიის მსოფლიო კულტურის ცენტრი "ერუსალიმი"

ხელმძღვანელი პან თათაყაძე



## წინასიტყვაობა

მკითხველი შეამჩნევს იმას, რომ ჩვენი ჟურნალი “მედეა” დღეს არსებულ პრესათა და სხვა კულტურულ თუ საინფორმაციო საშუალებათა შორის გამოირჩევა სრულიად აშკარა და უშედავათო ისეთი იდეოლოგიით, როდესაც არჩევანი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაკეთდეს ძველსა და ახალს, წარმავალსა და მარადიულს, ლამაზსა და მახინჯს, ზნეობრივსა და უზნეოს, შინაარსიან ღრმა აზროვნებასა და ფანატიზმს შორის.

ესაა ზღვარი ყოველ ნათელსა და ბნელს შორის და ზუსტად ამ სანუკვარ ზღვარზე მიმდინარეობს საბედისწერო ბრძოლა და არჩევანი. აი, როგორ წერს ნიკოლოზ რერიხი ამ საბედისწერო ზღვარის შესახებ, როდესაც ცხოვრების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლა ხდება.

“თითქოსდა ცხოვრების გარკვეულ ზღვარს მიღწეული ადამიანი უნდა გახდეს უფრო მეტად დაძაბული, სამართლიანი და შორსმჭვრეტელი. დღეზე გადახტომის დროსაც ხომ მოეთხოვება ადამიანს გარკვეული საზრიანობა და წინდახედულობა. ასეა მიწიერ დღეებთან. მაგრამ სულიერ მდინარეებთან, გასაგებია რომ ადამიანის გონებაში გამოიყენება რაღაც სხვა ხერხი. ხდება ან ყოველივე გონივრულის მოხვეჭვა, რათა რაღაც ზღვარი ღირსეულად იქნას დაძლეული, ან ადამიანში სიკეთე ნაკლებად და მასში აიმღვრევა ყოველი უკეთური, რაც ხელს უშლის მას სანუკვარი მიჯნა დაძლიოს.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია რომ ზუსტად მიჯნაზე, ამ ასე ნანატრ ხაზზე ხდება ან ძალიან კარგი, ან ძალიან ცუდი დაძაბულობანი. თითქოს რაღაც უძირო

სამალავიდან მოდიან ძირითადი თვისებანი და ძალები.

საერთოდ ყველაფერი რაც მიჯნაზე ხდება, წარმოადგენს სულის ევოლუციის თუ ინვოლუციის შესანიშნავ მაგალითს. თუკი შევიტყობთ, რომ ვინმემ გამოავლინა ნათელი საგმირო საქმე ან შავბნელი დალატი, დაგაკვირდეთ ყურადღებით, ეს ყველაფერი მის საბედისწერო მიჯნაზე ხომ არ მომხდარა? იშვიათად რომ შესცდეთ ასეთი დასკვნის გაკეთებისას, თუკი ესა თუ ის მოქმედება აშკარად საყურადღებო იყო...


ხშირი შეხსენება სულიერი ინვოლუციის შესახებ დაშინება როდია. ანდა ყოველი გონივრული რჩევა დაშინებაა, თუკი ადამიანი მთებში მიემართება? თუ ამ მოგზაურს გააფრთხილებენ: დამე არ დაიძინო მთის ძირში, - შეიძლება ქვა ჩამოვარდეს! - რა, ეს დაშინება იქნება? თუკი იტყვიან, - მთაზე ასვლის წინ ნუ შეჭამ მაძღრისად, - ეს არ იქნება დაშინება, არამედ ეს გასინჯული და საჭირო რჩევაა.

- ასევე ნაცადი რჩევა იქნება გაფრთხილება, - არ ჩაიძირო ამ მყარ სამყაროში ყველა მისი მოჩვენებითი ცდუნებებით, ოდეს ზღვარს უახლოვდები, რა თქმა უნდა რომ სიკეთით აღვსილი რჩევაა მუდმივად გახსოვდეს ნაანდერძევი ზღვარი, დაე, ამ ნათელმა ხსოვნამ სულის საუკეთესო თვისებანი გამოავლინოს...

მრავალი მკვლევლობა ხანჯლისა და საწამლავის გარეშე ხდება. მრავალი ნგრევა ხელების გარეშე სრულდება. ჭეშმარიტად, ბევრი რამ მიეცა ადამიანს, ოღონდ ახსოვდეს რომ მისი თავისუფალი ნების გამო, რამდენი სხვადასხვა შედეგის

მიზეზი ხდება იგი. ადამიანის ცხოვრების პერიოდებად დაყოფა, წარმოადგენს მის განსაცდელთა დასასრულს, განსაცდელებისა, რომლებიც სასიკეთოა მისთვის და გარდაუვალი. მხოლოდ მხდალი და ლაჩარი ისურვებს, რომ არ არსებობდნენ განსაცდელები და იგი არ აგებდეს პასუხს საკუთარი საქციელისა და აზრებისათვის...

დაე ამ სანატრელ, საბედისწერო ზღვართან ნუ მოხდება ნურაფერი ნურცა სამარცხვინო და ნურც დამღუპველი. ეს ხომ ზღვარია. ის ნანატრი, ნაანდერძევი, რომლისკენაც ასე მივისწრაფოდით, რომელსაც ასე მთელი სულითა და გულით ვებრძოდით. დაე, დალოცვილ იყვეს ეს ზღვარი დიადი, სიცოცხლის ზღვარი!”



ნ.კ. რერიხი (1874-1947)

ამ უდიდესი და უდიადესი ადამიანის სიტყვების შეფასებას, ასევე უდიდესი ადამიანი ტ.კარლელი იძლევა: „მსოფლიო ისტორია, ისტორია იმისა, თუ რა შექმნა ადამიანმა ამ ცხოვრებაში, არის ჩემის აზრით, თავისი არსით დიდებულ ადამიანთა

ისტორია და მათი ნაღვაწის ნუსხა ამ დედამიწაზე.” ისინი, ეს დიდი ადამიანები, კაცობრიობის ბელადები იყვნენ, მათი აღმზრდელები, ნიშნები და ფართო გაგებით კი ყოველივე იმის შემოქმედნი, რის განხორციელებასაც ცდილობდნენ მასები; ყოველივე რაც ამ სამყაროში მომხდარა, წარმოადგენს ამ უდიდეს ადამიანთა აზრების ხორცშესხმასა და რეალიზაციას ამ ცხოვრებაში და ყველაფერი ამ უდიდეს ადამიანებს, ჩვენთვის გამოგზავნილ ადამიანებს ეკუთვნის. ამ ადამიანთა ისტორია მსოფლიო ისტორიის სულსა და გულს წარმოადგენს.

ასეთი ადამიანების საერთო, კრებითი სახელია - გმირი.

გმირი მხოლოდ შთაგონების წყარო როდია ამა სოფლისათვის, ვაჟკაცობისა და გაბედულობის აღმძვრელი, არამედ ის მიზნის მისაღწევად, ნებისმიერი წინააღმდეგობის დასაძლევად საჭირო ენერჯის აღმძვრელია. გმირი არ სცილდება დედამიწას, გმირს ზეცა მოაქვს დედამიწაზე. მას თავისი გმირობით ეკუთვნის კაცობრიობის წინსვლა და გადარჩენა, გადარჩენა ღმერთში. მას მოაქვს უზენაესი სამყაროები დედამიწაზე და ადარ იქნება საჭირო სიკვდილი უზენაეს სამყაროებში წასასვლელად. სამოთხე გმირებს აქ ამ დალოცვილ დედამიწაზე მოაქვთ ღმერთის მიმართ სიყვარულით და არა მისი შიშით, რომელსაც თანამედროვე რელიგიები ნერგავენ. გმირს უყვარს ღმერთი და რელიგიები ღმერთის მოშიშობიდან, გმირების მადლით ღმერთის სიყვარულამდე ამაღლდებიან. თანამედროვე ეკლესიამ წაგვართვა უზენაესი სამყაროები, გაბორტებით იცავს თავის მონოპოლიას ღმერთზე და ყოველ ჭეშმარიტებას ეღობება წინ, მაგრამ გმირი როდი უწევს მათ ანგარიშს, იგი არ სცნობს მათ მონოპოლიას და აცხადებს, რომ ღმერთი ყოველი ადამიანის, ყოველი სულდგმულის გულშია და ჩუქნის კაცობრიობას ღმერთის

სიყვარულს და სამუდამოდ ათავისუფლებს კაცობრიობას ღვთის მოშიშობისაგან.

- ღმერთი სიყვარულია, - ამბობენ გმირები;

- იყავ სრული ვით ზეცის მამა, - ამბობს ქრისტე;

- სილამაზის გაცნობიერება გადაარჩენს სამყაროებს, - ამბობს რერიხი;

- ჭეშმარიტება სილამაზეშია. კოსმოსი ამ ფორმულაზე აფუძნებს ევოლუციას. "კოსმოსი მიმართავს სამყაროს სილამაზის ათვისებისაკენ," - თქვა ბოდვისსატვა მაიტრეამ.

- სილამაზე საშინელი რამაა. აქ სატანა ებრძვის ღმერთს და ბრძოლის ველი ადამიანთა გულებია, - ამბობს ფიოდორ დოსტოევსკი. ამ ბრძოლის ასპარეზი იმ რითშია, რომელიც ჰქმნის კოსმოსს, პლანეტას, ადამიანს და მას აკავშირებს ღმერთთან, კოსმოსთან და კაცობრიობასთან თანამშრომლობისთვის.

სილამაზე გადაღვრილია ყველგან და ყველაფერში, როგორც ერთადერთი მაშველი ძალა ადამიანთათვის და იგი, - სილამაზე - უდიდესი კულტურაა მთელს სამყაროში.

კულტურა - ესაა მსახურება სინათლის, სულისა და ევოლუციის. ესაა თვითრეალიზების ერთადერთი იარაღი, რამეთუ კულტურა მხოლოდ სულში ვლინდება.

უკულტურო ადამიანი სულიერი ვერ იქნება. ჩვენს „ფელეტონის ეპოქაში“, - ასე მონათლა ჰესსემ ჩვენი ეპოქა, - გმირობის ენერგიების დაცემამ ადამიანებს მოუტანა სიცოცხლის შინაარსის გაუფასურება, ზნედაცემულობა და სრული პროფანაცია, - ჭეშმარიტ ფასეულობათა კრახის დონემდე დაცემა: "ყველაფერი იყიდება!" ისმის ირგვლივ. დღეს საინფორმაციო სივრცე დატბორილია ფსევდო ფასეულობებითა და ფსევდო სულიერების გარყვნილობებით. ისმის ცრუ და ვაი მასწავლებელთა შეპირებანი: "ვხსნით ჩაკრამებს", ასტრალში

გასვლას გასწავლით", "ფარული ძალების ათვისება." "უზენაეს სამყაროებთან დაკავშირება"... და სხვა მსგავსი ნაბოდვარი ბრიყვებზე და კარიერისტებზე გათვლილი.

არსებობს მხოლოდ კულტურა და იგი, უპირველეს ყოვლისა, სულის დარგს ეხება. მხოლოდ კულტურასთან დაახლოვება, პრომეთეს ამ ჭეშმარიტი ცეცხლის გულზე მოდება, რომელიც პრომეთეს მსგავსი სულების მიერაა მოტანილი ამ დედამიწაზე, ამოიყვანს ადამიანებს გაუნათლებლობის, ფანატიზმისა და დოგმატიზმის უფსკრულიდან, რამეთუ არსებული იდეოლოგია დაიმსხვრა, ტრადიციულმა რელიგიებმა გვიჩვენეს თავიანთი სულიერი უსაფუძვლოება, გამრავლდა ჩვენი სულების დამორჩილებისათვის მრავალი სექტა, რომლებსაც ჩვენს სულებთან ერთად ჩვენი ფულებიც უნდათ, სახელმწიფო პოლიტიკა სუნთქავს დალატითა და კორუფციით, მასობრივი ინფორმაციის წყაროები სიცრუის ოკეანეებს ღვრიან, თესავენ სიძულვილსა და გათიშულობას, ეგრეთწოდებული მასობრივი კულტურა ნერგავს გარყვნილებას და ახალ-ახალი ზნედაცემულობანისა და მანკიერების მაგალითებს..

როგორც ხედავთ ბნელეთი გრძნობს თავის ბოლო წამებს და ცდილობს გაფართხალებას, მაგრამ განწირულია, - ახალი კულტურა, - ღმერთის სიყვარული, სილამაზე და სიბრძნე მოთხოვნადია დღეს, იგი ამ საუკუნის შინაარსი გახდა და უნდა დაინახოთ, რომ ახალი კულტურა უკვე შემოვიდა და მას ჭეშმარიტი ძმობა, ცოდნა და სიყვარული ჰქვია.

მთელი სიცოცხლე ერთიანი ღოცვა უნდა გახდეს და ამ ჟურნალში მკითხველი იგრძნობს, რომ ეს ერთიანი, თავიდან, პირველივე სტრიქონებიდან ბოლო წერტილამდე ღოცვაა, ღოცვა!!!

შემოქმედება ხომ ღოცვაა: დიდი პოეტები-დიდი მომლოცველები არიან; დიდი მხატვრები - დიდი მომლოცველები

არჩიან; მოქანდაკენი, ფილიასიდან დაწყებული მიქელანჯელომდე და როდენით დამთავრებული, დღემდე ლოცულობენ თავიანთი ხელოვნებით...

ერთი სიტყვით, შემოქმედება ესაა: ერთადერთი ლოცვა, წმინდა ლოცვა ღმერთისადმი ცაში აღვლენილი!!!

...კი, ყოველი რელიგიის მიმდევარი ლოცულობს, ლოცულობენ თავიანთ ეკლესიებშიც. მათ სკოლებთან არსებულ სკოლებშიც იმ რაღაც ცოდნას იძლევიან, რითაც უკვე შექმნილია ის ჩარჩოები, ჯებირები და გადაულახავი შეზღუდვები, რომლებიც ადამიანთა გადაულახავ ზღვარს წარმოადგენენ. ამიტომ საჭიროა მცდელობა ადამიანთა წარმოდგენებისა და შეხედულებების თვალსაწიერის გაზრდა-გაფართოებისა. ასევე სახელმწიფოთა სისტემებში არსებულ საგანმანათლებლო სისტემებშიც და სასკოლო, და უმაღლეს სასწავლებელთა კრიზისს ჩვენ ნათლად ვხედავთ: სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის სრული მოშლა და კრახი: სტუდენტები უფრო რევოლუციონერები და მემბოხენი არჩიან და სასწავლო მერხებთან ჯდომის სანაცვლოდ, ქუჩებში მუდმივ დემონსტრაციებს მართავენ. ასევე ევროთ წოდებულ პოლიტიკურ ინსტიტუტში, რომელიც უფრო პოლიტსაქმოსანთა ბუდეა ვიდრე ინსტიტუტი, რასაც ბოლო ამბები ადასტურებენ, - პოლიტექნიკურის რექტორის გადაყენების მოთხოვნები და სხვა...

- ასე რომ საჭიროა ვიცოდეთ, რომ შეუძლებელია ველოდებოდეთ იმას, რომ არსებული საგანმანათლებლო სისტემები, იქნება ეს რელიგიური თუ სხვა სახელმწიფო სკოლები, გაზრდიან ადამიანთა ცნობიერებას და თვალსაწიერს. თუნდაც ამ სტრიქონების წამკითხველი ობიგატელი ან რელიგიის „მიმდევარი“ გაიგებს იმას, თუ რაოდენ დიდი მოთხოვნილებებია დღევანდელი მსოფლიო

განათლების წინაშე? ნუ გაქვთ ამის იმედი, რამეთუ ობიგატელი სიგიჟედ ან სისულელედ მიიჩნევს ამას და სატანისტად მოგვანათლავს, რაც არაერთხელ მომხდარა და დღესაც იგივე მდგომარეობაა... ჩვენს კარზე ხშირად აწერენ ფანატიკოსები: დიდება ქრისტეს, ძირს სატანა! და არ იციან, რომ ჩვენ ამას ვეთანხმებით, რამეთუ ეს სიმართლეა, - ჩვენ ხომ ქრისტეს უკიდვანო სიყვარულსა და სიკეთეს ვთესავთ, მაგრამ წადით და აუხსენით ამ საცოდავებს ის, თუ რომელ კარზე უნდა დააწერონ ეს. ბოროტება გულმოდგინედაა ჩასაფრებული, რათა საჭირო საქმეს შეუშალოს ხელი. არა მგონია, ზედმეტი იყოს თუ სიტყვა „ბოროტი“-ს შინაარსს გავხსნით: ბოროტი, ასეთა გადანაცვლებით გამოდის **რობოტი** და **ბოროტი** ხომ სატანას რობოტია აბა რაა?! რამდენჯერ ყოფილა, რომ სრულიად უიმედო ადამიანები, მათი შვილები გადაგვირჩენია და... როგორც კი თავისას მიიღებენ, აი მაშინ ახსენდებათ მართლმადიდებლობა და უკვე თავისი განადრებული რომ აქვთ, შეშინებულნი გარბიან „ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკის“ ძახილით...

არა უშავს. *ქრისტემ ათი კეთროვანი განკურნა და ისინიც წავიდნენ და მხოლოდ ერთმა მოიხედა და მადლობის ნიშნად მხოლოდ თავილა დაუქნია...(!!!)*

არა უშავს, ახალი თაობა მოდის,- მეექვსე რასა!!! ხალხი ახელს თვალებს. შიში ღმერთისა მუდამ იწვევდა ამბოხს და ეს ამბოხიც მასიურად მომხდარა ყოველი რელიგიის წიაღში და ღმერთის მოშიშობა **ღმერთის სიყვარულით შეიცვლება.**

ახალი, მეექვსე რასის მთავრობები თავიანთ დროშებზე დაწერენ: „ხელოვნება - ხალხის გულია! ცოდნა - ხალხის გონებაა!

და ყოველივე ამას თქვენ ჩვენი, **ურუსვატის სახელობის კავკასიის მსოფლიო კულტურის ცენტრის**, ამ ჟურნალში ეზიარებით...

\* \* \*

- ყველაზე დიდი სიმდიდრე არის ჭკუა.
- უსაშინელესი სიღარიბე – უმეცრებაა.
- ყველაზე მძიმე ცოდვია – საკუთარი თავით ტკობა, ანუ თავმომწონეობა.
- შენი შთამომავლებისადმი საუკეთესო ნობათი – შენივე ზნეკეთილობაა.



ნ.რერიხი, მშვიდობის მახვილი  
1933წ.

## ძალა და ძალადობა

ძალა ბადებს უფლებას. თუ ძალა ბრძნულია, ეს ბედნიერებაა, რამეთუ ძალა სიკეთის მომტანია და თუ ძალა უგუნურის ხელშია, – ეს უკვე ძალადობაა, ანუ ძალის გაუკუღმართება და უბედურება. ძალას მხოლოდ *სიბრძნე* მართავს. იოლი მისახვედრია, თუ რატომბა დედამიწაზე ამდენი უბედურება: დედამიწაზე, *ჯერ*, უმეცრება ბატონობს.

ძალადობა წარმოადგენს ცნობიერების ყველაზე დიდი სიმდაბლის გამოვლინებას, რამეთუ იგი წარმოშობილია ყველაზე საშინელი ყოვლის გამანადგურებელი ცხოველური ეგოიზმისაგან. ეგოიზმი კი, თავის მხრივ, უმეცრების ყველაზე აშკარა და ერთადერთი წყაროა. უმეცრება და ეგოიზმი სინონიმებია. ერთადერთი ხსნა – *განათლება*ა.

უზენაესი, ცოდნით გასხივოსნებული და გულით გაჯერებული ძალაუფლება, თავის მხრივ, წარმოადგენს უზენაეს მსხვერპლს. გავიხსენოთ “*წიგნი მსხვერპლზე*” ან პირწმინდად ქართული, ეროვნული, უადრესად ჰუმანური და სულიერი ძეგლი, ეროვნული ხელისუფლების ასევე უბადლო ძეგლი მთელს მსოფლიოში, – *იოანე ბატონიშვილის “ხელისუფალი”*(!!!), – ხელისუფლისა და მოძღვრის ჭეშმარიტი სახება და ხატება.

მოძღვრის სიმბოლოს ყოველთვის გული განასახიერებდა. იგრძენით და გულით აღიქვით სიყვარულისა და ერთგულების ძალა მოძღვრის ხელის მიმართ. *სულისა და გულის ცოდნით ვადასტურებ, რომ*

*ამაზე მეტი არცა მეგობარი და არცა მოამაგე არა გყავთ.*

დიდი საიდუმლოება როდია, რომ ადამიანებს ძალიან უყვართ ოქრო და ვერცხლი, – ძვირფას ნივთებს ისე ფაქიზად ინახავენ და ისე სათუთად ექცევიან მათ, რომ ოდნავადაც არ დააზიანებენ მათ და... დამაღვაც ისე მოხერხებულად იციან, რომ ვერაფერ სხვა ვერ მიაგნებს მათ.

ოქრო-ვერცხლთან შედარებით უფრო ნაკლები ფასი აქვს ბუნებას, – ყვავილებსა და მცენარეებს. ასევე კარგად ცნობილია ცხოველების მიმართ დამოკიდებულება, – იგი უკვე უმოწყალოდ *სასტიკია*. უმოწყალოდ ვხოცავთ მათ *ბოინებშიც* და *ბუნებაშიც* (ნადირობა), მაგრამ ის, რაც *ადამიანის ხვედრს წარმოადგენს, მოპყრობის თვალსაზრისით, ენით აუწერელი დანაშაულია*. საკმარისია გავიხსენოთ *გენოციდი, გოლოდომორი, დღევანდელი ტერორიზმი* და თქვენ მიხვდებით, რომ ადამიანის თავისუფლება მხოლოდ ქაღალდზეა და სინამდვილეში კი *მონათმფლობელობა* არა მხოლოდ არ წასულა შესაბამის, – მონათმფლობელობის ეპოქასთან ერთად, – არამედ იგი შეუმჩნეველად იკრებდა ძალებს და რა გაძლიერდა, უკვე უტიფრად ბრუნდება ისტორიაში და *ლეგალურ* ფორმებს ღებულობს, აშკარად აცხადებს თავის პრეტენზიას “*თავის უფლებებზე*”. დასტურად ამისა საკმარისია დანაშაულებრივი სამყაროს “*კანონიერი*” ქურდების დაკანონება ადამიანთა ცნობიერებაში, მაგრამ ყველაზე



საშიშია ძლიერი ერების სუსტსა და პატარებზე ბატონობა და ხურდა ფულივით მათი გამოყენება ერთმანეთში კონფლიქტების მოსაგვარებლად, სუსტი სქესით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ბავშვთა ყიდვა-გაყიდვის აქამდე არალეგალური და დღეს კი უკვე დაკანონებული ბაზარი სუროგატული დედის თუ “გასხვისების” სხვადასხვა ფორმების სახით და... სუსტი სახელმწიფოებით ვაჭრობა... ან ვინ ჩამოთვლის დღევანდელობის იმ ფარულ (და უკვე დაუფარავ), უსინდისოდ სააშკარაოზე გამოტანილ ძლიერთა ამაქვეყნისათა ძალადობრივ თარეშს, რასაც თქვენ მთელი სიგრძე სიგანით ჟაკ ფრესკოს აქ მინიშნებული ბმულის ვიდეოზე მოისმინეთ და იხილავთ კიდევ – <https://www.youtube.com/watch?v=Gi3kUvv5cuE>.

ასე რომ, საჭიროა დროზე გავახმოვანოთ ძმობის შვიდი ასპექტი უმდაბლესიდან დაწყებული უმაღლესამდე:

1. ადამიანის თვალთახედვის თანახმად: ესაუბრო ადამიანს მისივე პირადი ტონით;
2. საზოგადოებრივი აზრის შესაბამისად: ავლენდე სხვათა აზრის გაგებას;
3. რელიგიური თვალსაზრისით: რელიგიური იდეალების ერთობის ხელშეწყობა;
4. მორალური თვალსაზრისით: გასცე ყველაფერი რასაც შენგან ელოდებიან, და არაფერი მოითხოვო სანაცვლოდ;
5. სიბრძნის თვალსაზრისით: გახადო სიყვარული, ჰარმონიისა და სილამაზის მაგალითად;
6. მისტიური თვალსაზრისით: საკუთარი პიროვნების ილუზიისაგან განთავისუფლება;
7. სულიერი თვალსაზრისით: განაწყო საკუთარი თავი და სხვანი წინამძღოლი სულის მიმართ მაგალითის მისაბაძად; და ყოველივე ამას კი, ესაჭიროება

მხოლოდ და მხოლოდ გახსნილი გული!!!

ძნელი ამოცანაა გულის გახსნა მოსწავლისათვის. წარსულის ტვირთი, – ძნელი დასაძლეია.

“ნუ ენდობი!” - ამბობს წარსული.

“დაფიქრდი! აბა რას იტყვის ხალხი?” კეთილად ჩაგჩურჩულებენ გარშემომყოფნი.

“ნუ ხარ ასე გულუბრყვილო,” - მოგძახის ბრბო.

მაშ რაღა უნდა ვქნათ?

ჭეშმარიტების მაძიებელს ცხოვრება ასწავლის, რომ ბოროტება ბევრია ამ დედამიწაზე და მაძიებელიც თავის დასაცავად იძენს ნაჭუჭს, რომელიც ჯაჭვის პერანგის მოვალეობას ასრულებს მისთვის. იგი თავის გატანის გარდაუვალი საფასურია... თავის გატანისათვის, მაგრამ არა სიცოცხლისათვის.

გაუსინჯავს კი ვინმეს შუალედური გზა?

არც ისე ბევრს შეუფასებია იგი როგორც ჭეშმარიტების გზა. უკიდურესობანი ყოველთვის ჰგვანან ერთმანეთს და ფრიად საშიში არიან ადამიანთათვის, რამეთუ მათი გარჩევა ძალზედ ძნელია.

სრული გახსნილობა, - უძირო კასრის მსგავსია: ყველაფერი ჩაიდვრება მასში და გადმოიდვრება კიდევ და კასრში კი არაფერი არ რჩება.

მაშ რაღაა ეს გახსნილი გული?

უწმინდესი წყლის წყალსაცავი, რომელსაც მთის მდინარეები კვებავენ. მაგრამ წყალი მასში არ ჩერდება. იგი თავად ხდება მდინარეთა სათავე, რომლებიც უკვე ზღვაში მიედინებიან.

ვერაფერი ჩაუვლის გვერდში გახსნილ გულს. ამა სოფლის ტანჯვებსა და ტკივილს იწოვს იგი, აცნობიერებს მათ არასრულყოფილებას, მაგრამ ამის გამო არ მოკვეთს მათ საკუთარი თავისაგან. ყველას ხომ საკუთარი გზა აქვს. გახსნილ გულს, ყოველი გზის წვდომისა და სიყვარულის უნარი გააჩნია. გახსნა გული, – ნიშნავს



ნ.კ. კვერციხის, ნეტარი სული (შრი რამა კრიშნა. ბჰაგავანი) 1932წ.

მიიღო ყველაფერი ისე, როგორც ეს არის, და აღმოაჩინო მასში სინათლეცა და სიყვარულიც, სულის ის ნამცეცებიც კი, რომლებიც ითხოვენ აღმოცენებას.

**გული იტევს!!!**

დიდია მთესველის, – მამის შრომა. დიდია შრომა დედისა, რომელიც იფარავს და ასაზრდოებს მარცვალს. ყველაფერი შეუძლია გულს, – ნაპერწკალი, როგორც ცეცხლი, აჩუქოს მსოფლიოს, შთააგონოს და მოუწოდოს მას, – მსოფლიოს, – სიყვარული და ანთოს, ალაგზნოს იგი, ცეცხლში გაატაროს და დაწვას ყოველი დანალექი. დიდია გული, რომელიც სიკეთის მარცვალს ისე ასაზრდოებს, – როგორც დედა საკუთარ ჩვილს აკვანში, – რათა მარცვალმა გაიხაროს და დაიფაროს ნორჩი ყლორტები მომაკვდინებელი სუსხისაგან. დაეხმაროს ღეროს, რათა არ გადატყდეს. შთააგონოს ნორჩ ყლორტებს, რომ ინაყოფონ.

**გულს ყველაფერი შეუძლიან...**

რახომც ბნელი ჯუნგლები არ უნდა

აღმოჩნდნენ ირგვლივ, გული, როგორც ნათლის შუქურა გაანათებს გზას, შესძახებს ბნელს ნათელი სხივით იმის იმედით, რომ არის მასში ის მარცვალი, რომელსაც ჯერ არც კი უნახავს სინათლე, მაგრამ თავის თავში, იგი მაინც თავად შეიცავს სინათლეს.

და ეხმიანებიან მარცვლები სხივს, იქნებ პირველადაც კი, რამეთუ მარცვლებმა შეიგნეს თავიანთი არსი. **გული – გვასაზრდოებს.** უდიდეს მაგნიტს წარმოადგენს გული. მისი ფეთქვა, ვითარცა ვიბრაცია, რითმია მისი და იზიდავს გულებს, აღვიძებს მათ, მღერის მათთან ერთად შეხმატკბილებულად და მოუწოდებს ძმობისაკენ. საჭიროა მხოლოდ გამოღვიძება, რისთვისაც **გათიშულობა** უნდა ჩავანაცვლოთ **ერთობისა და ძმობის სიყვარულით.** მაგრამ დღეს ჯერ კიდევ დიდია, დიდი, **გათიშულობის ილუზია მთელს დედამიწაზე.**

მძიმეა, მძიმე, გათიშულობის ის გამოცდილება, რომელსაც დღეს გადიან ადამიანები.

მძიმეა გათიშულობის ხვედრიც, რასაც ადამიანები დღევანდელობაში განიცდიან აურაცხელ ტანჯვათა და ხელმოკლეობათა სახით, რომელთა შორის, – *ჭეშმარიტი განათლების უკმარისობა უპირველესია და უმთავრესი*. და არსებობენ მხოლოდ ის დამოუკიდებელი გულები, რომლებიც, ამ ილუზიის გამო, ცალკე შემოქმედებენ. უნდა ვიცოდეთ, რომ *არსებობს პლანეტის ერთიანი გული*, მაგრამ თითებზე ჩამოსათვლელნი არიან ისინი, რომელნიც გრძნობენ *მას*. მხოლოდ *ზოგჯერ, საკუთარ გონებაში, საკუთარი გულით ეხებიან მას ბედნიერი მაძიებელნი და ხარბად ეწაფებიან სიცოცხლის ამ უღიადეს წყაროს*.

ყველაზე მძიმე ხვედრი, - იმ *ჭეშმარიტი მოძღვრის ხვედრია*, რომელიც *ადამიანებისაგან ქმნის ღმერთებს*.

ძნელი დასაჯერებელია, რომ მთის ნაკადულები მხოლოდ ერთ წყალსაცავს კვებავენ. ხშირად მაძიებელს ყოველივე ეს მხოლოდ ელანდება. დედამიწის სინათლის ბაღე, - ესაა არტერიები, ვენები, სისხლძარღვები და კაპილარები მისი, რომლებსაც მოაქვთ სინათლე, - სისხლი. გაჩერდა ერთი! - მოხდა ჩახერგვა. ესე იგი საერთო სამუშაო სხეებს დააწვება, ანუ ტვირთი მრავლდება. დიდია და ძნელი შრომა - გაუკაფო სინათლეს გზა, გაწმინდო ჩახერგილობანი და გაატარო ენერგია პლანეტის შორეული საზღვრებისაკენ...

**გული – წმენდს.**

*როგორც განსაწმენდელი, ისე შრომობს იგი*. როგორც უდიდესი მომწესრიგებელი და ტრანსფორმატორი. ყველაფერი გულის ცეცხლში დაიწვება: ყოველი ნაგავი, წყენა, ვნებანი, ტკივილი *შენი ეგოს არ აღიარების გამო*, - ყოველივე ეს დაიწვება. უნდა დაიწვას კიდევ, რამეთუ სისუფთავე და სიწმინდე – მომავლის კარია. როგორც ლითონსაღნობი ბრძმედი, - აი ასეთია გული. გული ამბობს: “შეხედე, შენ როდი ხარ მარტო! შენს

ირგვლივ დები და ძმებია, რომლებიც საკუთარ გზას განახორციელებენ! მძიმეა ტვირთი სხვადასხვა ცნობიერებებისა, რამეთუ ბნელით დაბინდული თვალები ვერ ხედავენ სინათლეს. ანთე სინათლე, სინათლე ცოდნისა, უჩვენე ადამიანებს გზა და წინ გაუძეხი მათ!

**გულის სიყვარულით იარე!**

ვიღაცამ ხომ პირველმა უნდა გააკაფოს გზა *სიყვარულისა!* ვიღაცამ ხომ უნდა გაათბოს ისინი ბნელ და სუსხიან ღამეს. გაათბოს ისინი, რომლებმაც ჯერ არც კი იციან ცეცხლით მოძრაობის უზრუნველყოფა! ვიღაცამ უნდა დააწყნაროს და განაწყოს ისინი ძიებისათვის! ვიღაც უდრეკად უნდა წინამძღვრობდეს მათ და არასოდეს არ უნდა ყოყმანობდეს!

**გული შრომობს!**

გული ლოცულობს. იგი ხედავს სიმრუდესაც და არასრულყოფილებასაც და ყოველივე ამას, შეიცავს საკუთარ თავში. ყოველი ჩვენთაგანის მიმართ, იგი რწმენითა და სიყვარულით ცოცხლობს და ასევე ყოველი ჩვენთაგანის ნათელი გზისათვის იბრძვის. იგი *მამის ლოცვებს აღავლენს, როგორც ზეციურ ლოცვებს, რომლებიც ნებისმიერ კარს აღებენ*. იგი მაძიებლის, თუნდაც ციცქნა ნაბიჯებითაც კი ხარობს და მას მისი მცირე გამარჯვებებიც კი ახარებს. ასეა ეს, ასე, რადგან ვერ დაძლევე გზას თუნდაც მცირედი შრომის გარეშეც კი და, ამასთან ერთად, საკუთარი თავი თუნდაც ოდნავ მაინც რომ არ დასძლიო. *ეს კი საკუთარი თავის შეცნობისა და სრულყოფილების აუცილებელ პირობას წარმოადგენს!*

**გული ლოცულობს!**

გული – განიცდის ტკივილს! მას სტკივა, ვიდრე არ გადაადნობს ყოველივე მიუღებელს სულის ცეცხლში. განიცდის ტკივილს მსოფლიოს წარუმატებლობათა გამო, განიცდის ტკივილს არ შემდგარ სიკეთეთა გამო. გული დაღონებულია იმაზედ, რაც ჯერ უხილავია. დარდობს,

ოდეს ადრის მამის ხატებას რეალურ სამყაროს. მაგრამ გული ყოველთვის საკუთარ თავზე დარდობს. მიძიმეა უცქერდე მიწარე სამყაროს, მამის იმ შვილებს, რომლებმაც მოშობლიური სახლი დაივიწყეს. აი ამიტომაა, რომ სინარული ყოველთვის უნდა ცოცხლობდეს დიად გარდამქმნელთა გულებში ეკლიანი გზის სინარულის გაცნობიერებითა და უმცირეს ნერგთა გახარების სინარულით იმაზედ, რომ ესმარები დაბადებას. სინარულია ის, რომ ხარ მასწავლებელი შენებისა. სინარულია ის, რომ ახალი სამყაროს მოქანდაკე ხარ.

ჩაიტე გულში მთელი სამყარო! იგრძენი სინათლე, რომელიც უკვე ყოველსა და ყველაფერში გამოსჭვივის! წინსვლას

ვერ შეაჩერებენ! გულების გაერთიანება სინათლეს გზას ჩუქნის. მდინარე ამით ნაპირებამდე შეივსება და მისგან კი ახალი ტბები შეივსებიან.

*მოსწავლე შეხდექ! უბრალოდ, - გახდი გული. საამისოდ სხვა აღარაფერია საჭირო ამჟამად შენგან და არც მე რე აღარ იქნება! უბრალოდ, - იყავი ის რაც ხარ, - ანუ გახდი გული, რომელსაც სულის მარცვალი შემოუნახავს. გახსენი იგი და განმწმენდი ცეცხლის ქუროში გაივლი! აღსდგები, ჩამოიშორებ ძველ სამოსელს! სულით აფრინდები ზეცაში მამასთან და ეტყვი მას: „გამარჯობა, მამა!“*

პასუხიც ასეთი იქნება:

*„გამარჯობა, შვილო!  
შენ დამიბრუნდი!“*



# მ ე ლ ე ა

---

\* \* \*

არ ღირს უწინურთან მეგობრობა, რამეთუ საუკეთესო სურვილის შემთხვევაშიც კი დაგაზიანებს თავისი უგუნურობით.

\* \* \*

მოერიდე ძუნწთან მეგობრობას, რამეთუ შენ რომ დახმარება დაგჭირდეს, დაგემალება ან წუწუნს დაიწყებს.

\* \* \*

არც ისაა მეგობრობის ღირსი, ვინც შურიანობისკენაა მიდრეკილი, რადგან ერთ შაურად გაგყიდის და მიგატოვებს, თუკი დასჭირდება.

\* \* \*

ასევე მატყუარასთანაც ნუ იმეგობრებ, რადგან მიღწევადს მიუღწევლად მოგაჩვენებს და ხელს აგადებინებს ბედნიერებაზედ.


მიუღწეველით კი ისე მოგხიბლავს, რომ უბედურების უფსკრულში გადაგჩენავს.



ნ.კ. რერიხი, ძიების მარგალიტი  
1924წ.

# გაბრიელ გარსია მარკესის გულის ლოცვა

თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი და საყოველთაოდ ცნობილი მწერალი გაბრიელ გარსია მარკესი დასნეულდა. ჯერ ფილტვის კიბოს ოპერაცია გადაიტანა და შემდეგ კიდევ ერთი საბედისწერო განაჩენი დაატყდა თავს:



ლიმფომა... ფატალური დასასრული აქ უკვე გარდაუვალი იყო. მსოფლიოს თვალწინ გათამაშდა ჭეშმარიტებისა და ილუზიის ტრაგიკული მისტერია: ნობელის პრემიის ლაურეატი მიდიოდა ამ ქვეყნიდან, კაცობრიობისაგან. ნობელის პრემიით აღიარება არაფრად ჩააგდო სიკვდილმა და თავისი ცივი, გამყინვარების მომგვრელი ხელებით

უშეღავათოდ შეეხო მის გულს... და გული ამღერდა, ამღერდა გული ჭეშმარიტად დღემდე გაუგონარი იმ ლოცვა-ჰიმნით, რომელიც კაცობრიობას დღემდე ჯერ არც კი გაუგონია... სიკვდილის გული გათბა, მან მხოლოდ ეს ლოცვა შეაფასა, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედება. გული გათბა ისე, როგორც თავის დროზე ორფეოსმა გაუთბო მას, სიკვდილს, პლუტონს გული და ღირსების ნიშნად კი ორფეოსს უდიდესი პრემია, - ევრიდიკას სული გამოატანა...

გაბრიელ გარსიას ლოცვა, – ესაა ლოცვათა პოეზიის ის უბადლო შედეგრი, ის ჭეშმარიტი ჰიმნი, რომელმაც მოარჩინა ეს უდიდესი ადამიანი კიბოსაგან და დღეს ამ უკვდავი ლოცვის ცეცხლოვანი ძალა კურნავს, წმენდს და ადამიანად აქცევს ყველას, ვინც კი ერთხელ მაინც მოუსმინა ამ ღმერთკაცი ადამიანის სულის საღიდებლის ამ საღმრთო ლოცვას!!!

\* \* \*

თუ ღმერთი ერთი წამით მაინც დაივიწყებდა, რომ მე ვარ ნაჭრის ნაკუწებისგან შეკერილი ჭინჭების თოჯინა და მაჩუქებდა სიცოცხლის ერთ პაწაწინა ნაგლეჯს, ალბათ არ ვიტყვოდი იმას რასაც ვფიქრობ, მაგრამ უეჭველად ვიფიქრებდი იმას რასაც ვამბობ, დავაფასებდი ყველაფერს არა ღირებულებების, არამედ იმის მიხედვით თუ რა მნიშვნელობა გააჩნია მას. ვიძინებდი ცოტას, ვიოცნებებდი მეტს. მესმის რომ თითოეულ წუთს, როდესაც

თვალეებს ვხუჭავთ, ვკარგავთ სინათლის სამოც წამს. ვივლიდი მაშინ, როცა ყველა გაჩერებული იქნებოდა, გავიღვიძებდი მაშინ როდესაც ყველას ეძინებოდა. მოვუსმენდი როდესაც სხვები ისაუბრებდნენ და რა გულიანად შევექცეოდი შოკოლადის ნაყინს.

თუ ღმერთი მაჩუქებდა სიცოცხლის ნაკუწს, ჩავიცვამდი შილიფად, გულადმა დაგწვებოდი მზეზე და გავაშიშვლებდი არამარტო ჩემს სხეულს, არამედ ჩემს სულსაც. ღმერთო, თუ გული მექნებოდა, მთელს ჩემს სიძულვილს სიტყვებით გადავიტანდი ყინულზე და დაველოდებოდი მზის ამოსვლას. ვან გოგის ოცნებით ვარსკვლავებს დავხატავდი, ბენდეტის ლექსს და სერატის სიმღერას სერენადად მივუძღვნიდი მთვარეს. ჩემი ცრემლებით მოვრწყავდი ვარდებს, რათა მეგრძნო მათი ეკლების ტკივილი და ვარდის ფურცლების სისხლიანი კოცნა.

ღმერთო ჩემო, მე რომ სულ მოკლე სიცოცხლე მქონოდა არ გავიყვანდი არცერთ დღეს ისე, რომ ხალხისთვის არ მეთქვა, რომ მე ისინი მიყვარს. დავარწმუნებდი ყოველ კაცსა თუ ქალს, რომ თითოეული მათგანი ჩემთვის განსაკუთრებულია და ვიცხოვრებდი სიყვარულზე შეყვარებული. ადამიანებს დავუმტკიცებდი, თუ რაოდენ სცდებიან, ფიქრობენ რა, რომ შეყვარება აღარ ძალუძთ როდესაც ბერდებიან. მათ არ იციან, რომ სწორედ მაშინ ბერდებიან, როდესაც კარგავენ სიყვარულის უნარს. პატარა ბავშვს ვაჩუქებდი ფრთებს, მაგრამ მას მხოლოდ ფრენის სწავლის უფლებას მივცემდი. მოხუცებს დავანახებდი, რომ სიკვდილი სიბერესთან ერთად კი არა, დავიწყებასთან ერთად მოდის.

რამდენი რამ ვისწავლე თქვენგან, ხალხო, და მე დაგინახე ის, რომ ყველას უნდა მთის მწვერვალზე ცხოვრება, და ის კი არ იციან, რომ ჭეშმარიტი ბედნიერება სწორედ იმაშია, თუ როგორ აღიხარ

ციცაბო ფერდობზე. ვისწავლე ისიც, რომ როდესაც ახალშობილი თავისი პაწაწინა თითებით სულ პირველად ეჭიდება მამის ხელს, ეს სამუდამოა და აღარასოდეს გაუშვებს მას. ვისწავლე, რომ ადამიანს აქვს უფლება უყუროს მეორეს ზემოდან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას წამოდგომაში ეხმარება. რამდენი რამის სწავლა შევბედი თქვენგან, მაგრამ სინამდვილეში ბევრი აღარ გამომადგება, რადგანაც როდესაც მე ამ კიდობანში მომათავსებენ, სამწუხაროდ უკვე მომაკვდავი ვიქნები.

ყოველთვის თქვი, ის რასაც ვრძნობ და აკეთე ის, რასაც ფიქრობ. რომ ვიცოდე, რომ დღეს უკანასკნელად გხედავ მძინარეს, მაგრად ჩავიკრავდი გულში და შევევედრებოდი უფალს რომ შენი სულის დამცველად მოვევლინე. რომ ვიცოდე, რომ უკანასკნელად გხედავ როგორ გადიხარ სახლიდან მოგეხვედრი, გაკოცებდი და მოგაბრუნებდი, რომ კიდევ ერთხელ მეკოცნა. რომ ვიცოდე, რომ უკანასკნელად მესმის შენი ხმა, ფირზე ჩავიწერდი თითოეულ შენს სიტყვას, რათა დაუსრულებლად შემეძლოს მისი მოსმენა. რომ ვიცოდე, რომ ეს ჩვენი უკანასკნელი წუთებია გეტყოდი “მიყვარხარ”, თითქოს არ ვიყო დარწმუნებული, რომ შენ ეს უკვე იცი.

ყოველ გათენებასთან ერთად ცხოვრება ახალ ახალ საშუალებებს გვაძლევს რომ ლამაზად ვაკეთოთ ჩვენი საქმე, მაგრამ თუ მე ახლა ვცდები და დღეს ამის მეტი არაფერი დაგვრჩენია, მინდა გითხრა თუ რა ძლიერ მიყვარხარ, და რომ არასოდეს დაგივიწყებ. ხვალინდელი დღე არავის აქვს გარანტირებული, ახალგაზრდასა თუ მოხუცს. შეიძლება დღეს უკანასკნელად ხედავ მათ ვინც გიყვარს. ამიტომ ნუღარ დაელოდები მეტს, იცხოვრე დღევანდელი დღით, რამეთუ არ იცი ხვალინდელი დღე იქნება თუ არა, და მერე ნამდვილად დაგწყდება გული რომ ვერ გამოინახე

დრო ღიმილისათვის, მოფერებისათვის, კოცნისათვის და რომ დაკავებულობის გამო ვერ შეუსრულე შენს საყვარელ ადამიანს უკანასკნელი სურვილი. გვერდიდან არ მოიშორე ისინი, ვინც გიყვარს, ჩუმად ჩასჩურჩულე თუ რაოდენ გჭირდებიან ისინი, გიყვარდეს და ფაქიზად მოეპყარი მათ, დროს ნუ დაიშურებ რომ უთხრა „ეწუნვარ“, „მაპატიე“, „გეთაყვა“, „გმადლოებ“ და ყველა ის სასიყვარულო სიტყვა რაც იცი. შენ არავინ გაგისვენებს შენი ფარული ფიქრების გამო. შესთხოვე უფალს რომ მოგცეს ძალა და სიბრძნე მათ გამოსახატად, უჩვენე შენს მეგობრებს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული

მათგანი შენთვის. გაუგზავნე ეს სიტყვები ყველას ვისაც გსურს. თუ დღეს ამას არ გააკეთებ, ხვალინდელი დღე ისეთივე იქნება, როგორც იყო გუშინდელი, და თუ ამას არასოდეს გააკეთებ, არც მაგით დაშავდება რამე. დაიწყე შენი ოცნებების ახდენა, ახლა სწორედ ეს მომენტია!

*p.s. რა კარგი იქნებოდა თუ ამ ღოცვას ონკოლოგიურში მოასმენინებენ ავადმყოფებს და საერთოდ კი ყოველ საბედისწეროდ სნეულ ადამიანს, განსაკუთრებით კი ნევროზების მქონე ადამიანებს, - ისინი ძალიან სწრაფად გამოჯანმრთელდებიან!!!*



ნ.კ. ღერიხი, აზრი  
1945წ.



# ასტროლოგიის უახლესი იდეოლოგიის საფუძვლები

ვიდრე ჰოროსკოპს და მის სრულიად უჩვეულო, სრულიად მოულოდნელ და ასევე სრულიად ახლებურ შინაარსს შემოგთავაზებთ, თავს მივცემ უფლებას ზოგადი ასტროლოგიის საიდუმლოებათა ფარდა გადავწიო იმდენად, რომ ახალი მიჯნა იოლი დასაძლევნი იყვეს მკითხველისათვის და გაგაკეთო ეს მისაღები იუმორის იმ დღით, რაც თავად გამჩენმა ჩადო ჩვენში, ოდეს სამყაროს ქმნიდა და კეთილი ღიმილით უღიმოდა თავისსავე ქმნილებას...

ნამდვილი ასტროლოგია სამყაროს კანონია და ამდენი აბდა-უბდა, რასაც დღეს ვისმენთ, თუ არა ამაზრზენი, აღმაშფოთებელი ხომ მაინც არის და არის...

ასტროლოგია, პითაგორეიზმის თანახმად, სამყაროს მეცნიერებათა სამებიდან მხოლოდ მესამე დარგია:

- 1. მათემატიკა; 2. მუსიკა; 3. ასტროლოგია.

და მას, ასტროლოგიას, სინამდვილეში როდღი ახასიათებს შიშით, გარდაუვალ უბედურებათა და ჰოროსკოპის მიმართ მონური მორჩილებით ის სპეკულაციები, რომლებითაც აზომბირებენ დღეს ადამიანებს. ჰოროსკოპი ფატალიზმი, ანუ გარდაუვალი ბედისწერა როდია. იგი განუმეორებლად უფრო დიდი შემოქმედების ასპარეზია, ვიდრე მასზე არსებული დღევანდელი წარმოდგენები, რადგან შექმნილია იგი გონიერ ადამიანთათვის, მათივე ბედნიერების შემოქმედებითი მართვისათვის.

უგუნური ადამიანი ჰოროსკოპში მხოლოდ „მის ნიშანში“ ეძებს ყველაფერ იმას, რაც კარგია და ხარობს ამით, და ის კი არ იცის, რომ მოვლენილია

ამ დედამიწაზე შრომითა და გარჯით, დღენიადაგ სწავლით დაფაროს საკუთარ თავში ის, რაც მას მისივე ჰოროსკოპში არ მოეწონა და დაიმსახუროს ის, რითაც ასე მოხიბლულია თუნდაც საკუთარ ნიშანში. ამასთან ერთად, ამ შემთხვევაში, მისი მიღწევა მხოლოდ იმ ერთ ნიშანში როდღი იქნება ჩაკეტილი, რადგან დანარჩენი ნიშნებიც ასევე დასაძლევნი ექნება მას. ეს კი წარმოუდგენლად დიდი შრომაა და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბედმა გაუღიმა მას და ნამდვილი მასწავლებელი შეხვდა ამ ცხოვრებაში. *ნამდვილი მასწავლებელი* კი ისევე იშვიათია, როგორც ქვიშაში ოქრო...

ასტროლოგია ერთ-ერთი უდიდესი და უმთავრესი მეცნიერებაა ტიბეტში და იქ არასოდეს არ მომხდარა ჰოროსკოპის მცდარი გამოთვლა და დღეს კი ადამიანები ვაი „ასტროლოგების“ არა მხოლოდ მონაჩმახების მსხვერპლნი ხდებიან, არამედ იმის გონებაც კი არ ყოფნით მათ, რომ დაინახონ ის, თუ რამდენჯერ სცდება ვაი „ასტროლოგი“ სხვადასხვა ადამიანებთან მიმართებაში, და პროგნოზიც ხომ არასოდეს არაა აშკარად ერთმნიშვნელოვანი, არამედ ყოველთვის ვარიანტებზეა აგებული. აქედან გაურკვეველობა, ეჭვები, შიშები და სტრესი. დიახ, ათასწლეულების განმავლობაში, ტიბეტმა ზუსტად იცოდა მომავალი, თავიანთი უდიდესი ნამდვილი ასტროლოგების ცოდნისა და მათ მიერ ზუსტი გამოთვლების მადლის გამო.

ასტროლოგიის მთელი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ზეციური (*მაკროსამყაროს*) ასტროლოგია, ჩვენში (*მიკროსამყაროში*) აისახება და ამ, ქვემოთ

მოყვანილ, სიტყვათა ლინგვისტურ ღრმა შინაარსობრივ მსგავსობაში დამალულია ასტროლოგიისა და ასტრონომიის მთელი შინაარსი მედიცინისა და სოფლის მეურნეობის კუთხით:

ასტროლოგია, - გასტროლოგია (მედიცინა) და ასტრონომია, - გასტრონომია (სოფლის მეურნეობა).

ამ გასაოცარ, ბუნებაში რეალურად არსებულ კავშირებსა და იოგას საიდუმლო პრაქტიკის უსასრულო შინაარსს შეიცავს ქვემოთ მოყვანილი ეს, ერთ აუწერელი ღირებულების იგავი.

\* \* \*

## იგავი ჰოროსკოპის ნიშნებზე

*მარადისობის უსასრულო ენერგეტიკის მადლით, ზეცით ამადლებისა და თვითრეალიზების აღქიმიური ლაბირინთები*

და იყო ღმერთების დილა, ოდეს წარსდგა უფალი (გული) საკუთარი თორმეტი შვილის წინაშე და ყოველ მათგანში ადამიანის სიცოცხლის მარცვალი ჩადო. ყოველი შვილთაგანი ერთი ნაბიჯის წინ გადმოდგმით, ჯერობით გამოდიოდა რიგიდან უფლისაგან კუთვნილი ნობათის მისაღებად.

„შენ, ვერძო, პირველს გაძლევე ჩემს მარცვალს, რათა შენ პირველს გერგოს მისი დარგვის პატივი. ყოველი მარცვალი, რომელსაც შენ დარგავ, შენს ხელში მრავალგზის გამრავლდება. თავად შენ არ დაგრჩება დრო საიმისოდ, რომ იხილო ის, თუ როგორ იზრდება შენს მიერ დათესილი მარცვლები, რადგან რასაც შენ დასთეს, შექმნის და მოიტანს იმაზედ მეტს, რაც შენ კიდევ დასათესი გექნება. შენ იქნები მათ შორის, ვინც ადამიანების გონებას გააჯერებს ჩემი იდეებით. მაგრამ შენი სამუშაო როდი იქნება იდეების კვება ან მათი გამოკვლევა. შენი ცხოვრება არის მოქმედება და მხოლოდ მოქმედება, რომელსაც მე გავალებ შენ, ანუ შენ უნდა აიძულო ადამიანები შეიმეცნონ ჩემი ქმნილება. შენი კარგი შრომისათვის გჩუქნი საკუთარი ღირსების გრძნობას.

ვერძი ჩუმიად დაბრუნდა თავის ადგილზე.

„შენ, კურო გაძლევე მარცვლის სუბსტანციასთან დაკავშირების ძალას. შენი შრომა ძალზედ მნიშვნელოვანია, იგი დიდ მოთმინებას ითხოვს შენგან, რადგან შენ უნდა დაასრულო ყველაფერი რაც კი დაწყებულია, თორემ მარცვალს ქარი წაიღებს. შენ არ უნდა იეჭვიანო ან გადაიფიქრო შუაგზაზედ, ან სხვას მიანდო საქმე რასაც მე გავალებ.

ამისათვის მიიღე ჩემგან ძალის ნობათი. გამოიყენე იგი ბრძნულად.”

და კურომ გადადგა ნაბიჯი უკან და თავის ადგილზე დადგა.

„თქვენ, ტყუპებო, მე გაძლევეთ შეკითხვებს პასუხების გარეშე, იმისათვის რომ ყველას იმის წვდომა მოუტანოთ, რასაც ადამიანი თავის ირგვლივ ხედავს. თქვენ ვერასოდეს ვერ გაიგებთ, რატომ ლაპარაკობენ ან ისმენენ, მაგრამ პასუხის ძიებისას თქვენ აღმოაჩენთ ჩემი ცოდნის ნობათს”. და ტყუპებმაც დაიხიეს ერთი ნაბიჯით უკან.

„შენ, კირჩხიბო, გავალებ ასწავლო ადამიანებს ემოციები. ჩემი იდეაა - შენ უნდა აიძულო ისინი იტირონ და იცინონ იმისათვის, რომ რასაც ისინი ხედავენ ან რაზეც ფიქრობენ, ეს ყველაფერი მათ შინაგან განვითარებას ემსახურებოდეს”.

კირჩხიბმა გადადგა ნაბიჯი უკან თავისი ადგილისაკენ.

„შენ, ლომო, გაძლევე საშუალებას შენი შრომის შედეგებით მოახდინო დემონსტრირება იმისა, თუ როგორია ჩემი ქმნილება მთელი მისი ბრწყინვალებით და წარუდგინო იგი სამყაროს. მაგრამ ფრთხილად მოეკიდე სიამაყეს და არასოდეს დაივიწყო ის, რომ ეს ჩემი ქმნილებაა და არა შენი. რადგან თუ ეს დაგავიწყდა ადამიანები აბუჩად აგიგდებენ შენ. სამუშაო, რომელსაც შენ გაძლევე, შეიცავს ძალიან ბევრ სინარულს, თუკი შენ მას კარგად შეასრულებ. ამისათვის შენ ღირსების ნიჭი გექნება”.

და ლომმაც ერთი ნაბიჯით დაიხია უკან თავის ადგილისაკენ.

„შენ, ქალწულო, მე გთხოვ შეისწავლო ყოველივე ის, თუ როგორ მოექცა ადამიანი ჩემს ქმნილებას. შენ ყურადღებით უნდა შეისწავლო მისი მეთოდები და მიუთითო ადამიანს მისი შეცდომების შესახებ, რათა შენი გამოისობით ჩემი ქმნილება სრულყოფილებას განიცდიდეს. და რათა ადასრულო შენ ეს ჩემი თხოვნა მე გიბოძებ შენ აზროვნების სიწმინდეს”. და ქალწულმა დაიხია თავისი ადგილისაკენ.

„თქვენ, სასწორნო, გიბოძებთ მსახურების მისიას, რათა ადამიანმა არ დაივიწყოს საკუთარი ვალდებულებანი სხვათა მიმართ, რათა ისწავლოს თანამშრომლობა (კოჰაბიტაცია!!!), ისევე როგორც საკუთარი მოქმედების სხვა მხარის გააზრებაც. მე მოგათავსებთ თქვენ ყველგან, სადაც უთანხმოებაა და თქვენ ძალისხმევით თავის მე გიბოძებთ თქვენ სიყვარულის ნობათს”. სასწორმაც მოკრძალებით დაიხია უკან.

„შენ, მორიელო, მეტად ძნელ ამოცანას გაძლევე. შენ ადამიანთა გონების ცოდნის უნარს განიჭებ, მაგრამ არ გაძლევე უფლებას ილაპარაკო იმაზე, რაც შენ გაიგე. შენ მრავალგზის მოგაყენებენ ტკივილს იმით, რასაც დაინახავ და ამ ტკივილის გამო შემაქცევ ზურგს და დაგავიწყდება,

რომ არა ჩემგან, არამედ ჩემი იდეის გაუკუღმართებამ გამოიწვია შენი ტკივილი. შენ იმდენს იხილავ ადამიანში, რომ დაინახავ მის ცხოველობას, და ისე შეებრძოლები მის ცხოველურ ინსტინქტებს საკუთარ თავში, რომ საკუთარ გზასაც დაკარგავ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს როდესაც ჩემთან დაბრუნდები, მორიელო, მე მიზნის უზენაესი ნობათი მექნება შენთვის”.

და მორიელმაც თავისი ადგილი დაიკავა.

„შენ, მშვილდოსანო, გთხოვ ადძრა ადამიანები სიცილისათვის, რადგან ჩემი იდეის არასწორი გაგების გამო, ისინი ბოროტდებიან. სიცილით შენ უნდა მიანიჭო მათ იმედი, იმედით კი მათი თვალები ჩემსკენ შემოაქციო. შენ მრავალ სიცოცხლეს შეეხები თუნდაც ერთი წამით და მიხედები ყოველი ცხოვრების, რომელსაც შენ შეეხები, მოუსვენრობის მიზეზს. შენ, მშვილდოსანო, გაძლევე შეუზღუდველი სიუხვის ნობათს, რათა რაც შეიძლება ვრცლად გავრცელდე და მიწვედე ყოველ კუნჭულს, სადაც ბნელი ბუდობს და მიიტანო ბნელში სინათლე”.

მშვილდოსანი თავის ადგილზე დადგა.

„შენგან, თხის რქავ, მოვითხოვ დაუღალავ შრომას, რათა ადამიანებს ასწავლო შრომა. შენი ამოცანა იოლი როდია, რადგან საკუთარი ზურგით იგრძნობ ადამიანის ყოველ ძალისხმევას: მაგრამ შენი ტვირთის უღელის გამო ადამიანის პასუხისმგებლობას შენ განდობ”.

თხის რქამ დაიხია უკან.

„შენ, მერწყულო, გაბარებ მომავლის იდეას, რათა ადამიანმა შეძლოს სხვა შესაძლებლობათა დანახვაც. შენ მარტობის ტკივილის ხვედრი გხვდა წილად, რადგან ჩემი სიყვარულის განსახიერების უფლებას არ გაძლევე. მაგრამ ადამიანთა თვალები ახალი შესაძლებლობისაკენ უნდა მიმართო. ამიტომ შენ თავისუფლების ნობათს გაძლევე, იმისათვის, რომ შენს

თავისუფლებაში შეძლო კაცობრიობის სამსახურის გაგრძელება, როდესაც კი მას არ უნდა დასჭირდეს ეს”.

მერწყული თავის ადგილზე დაბრუნდა.

„თქვენ, თევზებო, მე ყველაზე ძნელ ამოცანას გაძლევთ. მე გთხოვთ შეერიბოთ ადამიანის მთელი სევდა და ისევ მე დამიბრუნოთ. თქვენი ცრემლები საბოლოო ჯამში ჩემი ცრემლები უნდა გახდეს. წუხილი, რომელსაც თქვენ შეიწოვთ, ადამიანისაგან ჩემი იდეის არასწორი გაგების ეფექტი იქნება, მაგრამ თქვენ უნდა მიაგებოთ მას თქვენი თანაგრძნობა, რათა კიდევ და კიდევ სცადოს (რეინკარნაციებით). ამ ყველაზე ძნელი ამოცანის შესრულებისათვის მე გიძღვნი თქვენ ყველაზე მაღალ ნობათს. თქვენ იქნებით თორმეტიდან ერთადერთნი (IXTEO - IEZUS XRISTUS TEOS), რომლებიც გამიგებთ მე. მაგრამ ეს გაგება მხოლოდ თქვენთვისაა, რადგან თუ მას ადამიანს შესთავაზებთ, იგი არ მოგისმენთ თქვენ”.

და ღმერთმა ბრძანა: „ყოველ თქვენთაგანს ჩემი იდეის მხოლოდ ნაწილი გაგაჩნიათ. არ შეცდეთ და წილი მთლიან იდეად არ ჩათვალოთ, ან ერთმანეთს გაუცვალოთ თქვენი წილები, რამეთუ ყოველი თქვენთაგანი დასრულებულია, თუმცა თქვენ ამას ვერ გაიგებთ მანამ, სანამ თორმეტივე არ გამთლიანდებით

(ელოჰიმი). რადგან მხოლოდ მაშინ, ყოველი თქვენთაგანისათვის, გასაგები გახდება ჩემი იდეის მთლიანობა.”

და წავიდნენ შვილები ადვსილნი მტკიცე სურვილით, რათა რაც შეიძლება უკეთესად შეასრულონ თავიანთი შრომა შეპირებული ნობათისათვის.

მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ჩაწვდა ბოლომდე თავის ამოცანას, რაც იგივეა თავის ნიჭს, და როდესაც დაბნეულები დაბრუნდნენ, ღმერთმა უთხრა მათ: “ყოველი თქვენთაგანი თველის რომ სხვების ნობათები უკეთესები არიან. ამიტომ მე გაძლევთ ნებას ცვალოთ ერთმანეთში ნობათები”.

ერთხანს ბავშვები აღტაცებაში მოვიდნენ, რადგან უკვე უხაროდათ ახალი მისიების შესაძლებლობანი.

მაგრამ ღმერთმა გაუღიმა მათ და სთქვა: “თქვენ არა ერთხელ დაბრუნდებით ჩემთან თქვენი მისიისაგან განთავისუფლების თხოვნით და ყოველთვის მივიღებ თქვენს სურვილებს. აურაცხელ რეინკარნაციათა გზა გელოდებათ, ვიდრე საწყის მისიას შეასრულებთ, რომელიც იმთავითვე დაგიწესეთ მე თქვენ. რათა შეძლოთ ამის შესრულება, აურაცხელ დროს განიჭებთ, და მხოლოდ მაშინ როდესაც შეასრულებთ თქვენს მისიას, თქვენ შეძლებთ ჩემთან ყოფნას.”



\* \* \*


ზოგი რამ ზოგიერთი რიცხვის შესახებ

ზოგიერთი რიცხვების მიმართ არსებობს უჩვეულო დამოკიდებულება და ასეთ რიცხვთა ნუსხაში განსაკუთრებით ფატალურებად ითვლებიან რიცხვები 11 და 13.

რიცხვი 13 იმდენად ფატალურია, რამდენადაც შემაშინებელია. ყველაფერი ის რაც დასამალია, ანუ ეს მხოლოდ ხერხია დამალო დასამალი მშიშარათა და უმეცართაგან და სინამდვილეში კი, როგორც უკვე მიხვდით, ეს მხოლოდ იმას მიგვანიშნებს, რომ რაღაც სიკეთეს გადავეყარეთ, რომელსაც ცოდნა და ნებისყოფა ესაჭიროება.

ეს ცამეტი კი არაა სინამდვილეში, არამედ მეცამეტეა, მეცამეტე ნიშანი თევზებსა და ვერძს შორის და აქ ხომ უკვე სატურნის ზოდიაქოზეა საუბარი, რომელიც საკუთარ თავზედ გამარჯვებულთა შემდგომი ზესვლის ზოდიაქოა, და ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ადამიანმა პირველ ზოდიაქოში სძლია საკუთარ თავს და გაიმარჯვა კიდევ, და უკვე ამ, ახალ ზოდიაქოშიც განახორციელებს საკუთარი თავის დროის მეუფედ გარდასახვის ამოცანებს.

რიცხვი თერთმეტი მეტისმეტად გაზვიადებულიად ფატალურია და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ თერთმეტი ასეთნაირად იშიფრება: თერთმეტი (თ-ერთმეტი, ერთით მეტი, ერთით მეტი ვიდრე ათია, ანუ სრულყოფილება 10 ცეფიროტი განხორციელების ფაზაში შედის და გამოუცდელი მონადა, 1 - ერთი, საკუთარი სრულყოფილების რეალიზაციის გზას დაადგა და ეს ხომ სანსარაა, ანუ რეალური ცხოვრების უბედურებათა და განსაცდელთა ოკეანე...) ესაა სრულყოფილი ადამიანი 10 (ათი ცეფიროტი), როგორც იდეა და შედის რა ადამიანი ცხოვრებაში, როგორც მონადა, ის იძულებულია გაიაროს ზოდიაქოს 12 ნიშანი და თუ სრულყოფილებას ვერ მიაღწია მასში, აი ზუსტად ესაა ფატალური შეცდომა ადამიანისა, რამეთუ უაზროდ იცხოვრა და იძულებულია რეინკარნაციაში წავიდეს. მაგრამ თუ მან საკუთარი თავის შეცნობის გზა განვლო ზოდიაქოში, ის პრაქტიკულად ეუფლება მის სულში ჩადებულ სრულყოფილებას 10 (ათ ცეფიროტს) და სატურნის ზოდიაქოში გადადის. ასე რომ 11 არის არჩევანი მიწიერი, ანუ ფატალური, და ზეციური, ანუ სატურნის დროის მბრძანებლის ზოდიაქოში გადასვლის არჩევანი, რომლის შინაარსსაც აქვე გთავაზობთ.



# სატურნის ზოდიაქო, ანუ საათის უკვდავების კანონების რეალიზება

*საათი* - თევზებსა და ვერძს შორის.

ამ ნიშნის თვისებაა, მიანიჭოს მის მფლობელს უნარი ყველაფრის თავიდან, თუნდაც სრული ნულიდან საქმის დაწყებისა. გასაგებია, რომ ასეთი ადამიანები, – კოსმიური გაგებით, *შემოქმედნი* არიან.



*ვეშაპი, დელფინი* - ვერძსა და ხარს შორის.

ფლობენ ადამიანებზე უდიდესი ზეგავლენის უნარს. ისინი ჭეშმარიტად მბრძანებლებად არიან დაბადებულნი.

*მონადირე* - ხარსა და ტყუპებს შორის.

ზეცისაგან მინიჭებული აქვთ უზარმაზარი პოტენციალი, თუმცა ისინი მაინც მუდმივ არჩევანს შორის იმყოფებიან

ყოველ გზაგასაყარზე, იმ გაგებით, თუ რა გზა აირჩიონ შემოქმედებისათვის.

*გემი* - ტყუპებსა და კირჩხიბს შორის.

მათ მინიჭებული აქვთ შორეულ, უხილავ მიზანთა ჭვრეტის უნარი. ზეცა ეხმარება მათ ნებისმიერ დასახულ მიზანთა მისაღწევად. ისინი ფლობენ უნარს თავი დააღწიონ შიშებსაც და ილუზიებსაც.

*ეტლი* - კიბოსა და ღომს შორის.

ამ ნიშნის მფლობელ ადამიანებს, გააჩნიათ მრავალი საქმის ერთდროულად კეთების უნარი და ისინი, სამყაროს შეცნობის მუდმივ პროცესში არიან ჩართულნი, რათა მიღებული ცოდნა გადასცენ სხვებს.

*რაინდი* - ღომსა და ქალწულს შორის.

ისინი, როგორც წესი, მიჰყვებიან თავის არჩეულ მისიას და პირნათლად ადასრულებენ თავიანთ ვალს. ისინი ჭეშმარიტად უშიშარი და უსაყვედურო რაინდები არიან.

*მოძღვარი, მწყემსი კეთილი* - ქალწულსა და სასწორს შორის

ფლობენ უნარს გაუძღვენ წინ მათ ირგვლივ მყოფთ. თუმცა გარანტირებული არაა ის, თუ სად წაიყვანს ის მათ. მათი ამყოლი, იოლად შეიძლება გახდეს სიყალბის მსხვერპლი (მოძღვარი ბევრია, რჩეულნი კი – ერთეულები).

*ყვავი* - სასწორსა და მორიელს შორის.

ფლობენ სხვათა სიავისაგან განთავისუფლების უნარს. ისინი ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა შესანიშნავ აღმზრდელებად ითვლებიან ისევე, როგორც

სარეაბილიტაციო დაწესებულებათა შესანიშნავი ინსტრუქტორებიც არიან... ისინი მთელ სამყაროს იცავენ.

*გველის მჭამელი* - მორიელსა და მშვილდოსანს შორის.

ფლობენ უნარს თავი დაადწიონ დროთა უსასრულო ტრიალს და სძლიონ საკუთარ კარმას. მიჩნეულია, რომ ისინი ფლობენ მრავალ საიდუმლო ძალებს. ჩვეულებრივად ისინი მეტად ნიჭიერები არიან და აქვთ ოკულტური და მისტიური საქმიანობებისაკენ მიდრეკილება.

*ხე* - მშვილდოსანსა და თხის რქას შორის.

მათ კულტურათა გაერთიანებისა და მათი საუკეთესო ღირებულებების შენარჩუნების და სელექციის უნარი გააჩნიათ.

*სფინქსი* - თხის რქასა და მერწყულს შორის.

მათ წინასწარმეტყველების უნარი გააჩნიათ და, როგორც წესი, მათი

წინასწარმეტყველება ტრაგიზმის ელფერითაა შეფერადებული. ისინი გრძნობენ მოახლოებულ ტრაგიკულ მოვლენებს, რის გამოც მუდმივად მოღუშულნი და უხასიათონი არიან, მაგრამ ისინი იმ ერთადერთ სამყაროსეული ამოცანის გადაწყვეტაზედ მუშაობენ, მხოლოდ რომლის შემდეგ ადამიანი სულის სამყაროს ეზიარება...

*მერანი, პეგასი* - მერწყულსა და თევზებს შორის.

გაბედული და მუდმივი შემოქმედნი არიან, ვარსკვლავნი ანიჭებენ მათ სამყაროს საიდუმლოებათა წიადში შედწევის უნარს.

*ისინი ხშირად, გენიალური პოეტები, მხატვრები, მწერლები, მეცნიერები და კომპოზიტორები არიან...*

მაგრამ საბოლოო მიზანიცა და შინაარსიც

მ ე ს ი ა ნ ი ზ მ ი ა ! ! !



ძ ი ე ბ ა

ძველად, ოდეს სიტყვა პირველად აქლერდა ჩემს ბაგეებზედ, მე ავედი წმინდა მთაზედ და შევძახე ღმერთს:

“ღმერთო, მე მონა ვარ შენი. შენი სანუკვარი ნება, - კანონია ჩემთვის და უკუნითი უკუნისამდის დაგემორჩილები მხოლოდ შენ.

მაგრამ არ გასცა ღმერთმა პასუხი, გასცილდა მას, ვითარცა შმაგი გრიგალი. ათასი წლის შემდეგ კვლავ ავედი მე წმინდა მთაზედ და კვლავ შევძახე მას:

- შემოქმედო, მე შენი ქმნილება ვარ. თიხიდან გამომპერწე მე შენ და შენ გიმაღლი ყველაფერ იმას, რაც თუ რამ გამაჩნია, და რასაც მე წარმოვადგენ.

არ გასცა ღმერთმა პასუხი, გაფრინდა სწრაფი ათასფრთოსანის მსგავსად. ათასი წლის შემდეგ მე ავედი წმინდა მთაზედ და კვლავ შევძახე მამას:

ღმერთო, მე ძე ვარ შენი. შენი სათნოებისა და სიყვარულის გამო გამაჩინე მე შენ, და სიყვარულითა და თაყვანისცემით დავიმკვიდრებ მე შენს სამფლობელოს.

არ გასცა ღმერთმა პასუხი - გაუჩინარდა, ვითარცა შორეული გორაკების საბურველი ნისლი. კიდევ ათასი წლის შემდეგ მე ავედი წმინდა მთაზედ და კვლავ შევძახე გამჩენს:

ჩემო ღმერთო, ჩემო მიზანო და ჩემო აღსრულება; მე ვარ შენი გუშინდელი და შენ ჩემი ხვალინდელი ხარ. მე ფესვი ვარ შენი დედამიწაზედ და შენ კი ყვავილი ჩემი ზეცით და ერთად ვიზრდებით ჩვენ მზის თვალწინ.

მაშინ დაიხარა ღმერთი ჩემსკენ და ყურში ჩამსჩურჩულა უტკბესი სიტყვები, და თითქოს ისე, როგორც ზღვა იხუტებს მისკენ მორბენალ ნაკადულს, ისე ჩამიხუტა გულში... და ოდეს კვლავ დაგბრუნდი ბარსა და ველებზედ, ღმერთიც უკვე იქ იყო.

მოსიყვარულე გულით იძენს ყოველი ჩვენთაგანი შინაგანი ღმერთის გაცნობიერებას.

„იყავით სრული ვით ზეცის მამა და თქვენც შესძლებთ ჩემსავით და კიდევ უფრო მეტსაც...“ / იესო /




ნ.გ. რერიხი, იესოს თასი (ვედრება გეტსიმანის ბაღში) 1925წ.



\* \* \*

- გაიბეგრას სინდისი რომ გაუღვიძო, სილა უნდა გაააწნა.
- ღმერთებსაც უყვართ ხუმრობა.
- ადამიანთა დიდი ნაწილი უმეტესად ემორჩილება საჭიროებას, ვიდრე გონიერებას და ესეც უმეტესწილად სასჯელის შიშით, ვიდრე *ზნეობრივი მშვენიერების დასაკმაყოფილებლად*.
- გაბრაზება ყველას შეუძლია, ეს ძალზე იოლია, მაგრამ გაბრაზება მასზე *ვისზეც საჭიროა, როცა საჭიროა და იმ მიზეზით რომლითაც საჭიროა*, ყველას არ შეუძლია.  
*/არისტოტელე/*



ნ.კ. რერიხი, ზაკატუსტრა  
1931წ.

## ბრმა და ბუდა (იგავი სინათლეზედ)

ყველაზე დიდი პრობლემაა - ბრმებს სინათლეზე ელაპარაკო. მაგრამ ყოველ ბრმას მაინც შესაძლებელია, რომ თვალები აუხილო.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ბრმას შეუძლია სინათლეზე საუბარი, მაგრამ რაზომც დაძაბულად არ უნდა იფიქროს მან მასზე, ეს ვერაფრითარ წარმოდგენას ვერ შეუქმნის მას სინათლეზე. მას შეუძლია დაუჯეროს კიდევ საკუთარ აზრებს და თუ მან სინათლის მიმართ საკუთარი წარმოდგენები ირწმუნა, მაშინ მას ავიწყდება თვალებზე ზრუნვა, ექიმთან წასვლა და მათი მორჩენა.

არსებობს ასეთი შესანიშნავი ამბავი ბუდას ცხოვრებიდან.

ერთხელ ბუდამ ერთ სოფელში შეიარა და სოფლის მემკვიდრეებმა მას უსინათლო მოუყვანეს და მოახსენეს: „ამ ბრმას არა სჯერავს სინათლისა (იგულისხმება სულიერი სამყარო ათეისტი...) და გვიმტკიცებს მის არარსებობას. ჩვენ ვიცით მისი არსებობა, მაგრამ ამ უსინათლოს ისეთი გამჭრიახი გონება აქვს და ლოგიკა, რომ ჩვენ თითქმის დაგვაჯერა, რომ სინათლე არ არსებობსო. მისი არგუმენტები იმდენად დამაჯერებელია, რომ ვერანაირად ვერ ვუარპყოფთ მათ. იგი ამბობს: ”თუკი სინათლე არსებობს, მე მინდა შევეხო მას იმიტომ, რომ მე ვიცი საგნები შენებით”. მაგრამ სინათლეს ხომ ვერ შევეხებით. ის ისევ თავისას გვიმტკიცებს: „საგნებს მე ვგრძნობ გემოვნებით, მაგრამ სინათლეს ვერ დააგემოვნებ. მე შემიძლიან ვუყნოსო საგანს, მაგრამ სინათლეს სუნი არა აქვს.” ის ამბობს: „შემოჰკარით ხელი სინათლეს,

როგორც დოღს და მეც გავიგონებ მის ხმას.” მას სხვა აღარავითარი საქმე არ ღარჩენია და დღენიდაგ გვიმტკიცებს სინათლისა და მხედველობის არარსებობას.

იქნებ შენ, დიდო განდობილო, შეძლო და დაუმტკიცო ამ ბრყვს სინათლის არსებობა.”

და ბუდამ უპასუხა: ”ეს ბრმა მართალია. სინათლე მისთვის არ ასებობს. რატომ უნდა დაიჯეროს მან ისეთი რამ, რისი გამოცდაც მას არ შეუძლიან? ამ სოფლის მაცხოვრებელნი არასწორად იქცევიან. ნაცვლად იმისა, რომ გადაარწმუნოთ, თქვენ ექიმს (ბრძენს) უნდა მიუყვანოთ იგი. მე ვერ აღუდგენ მას მხედველობას, მაგრამ ვიცნობ შესანიშნავ ექიმს და შემიძლია მისი მოყვანა. უსინათლომ იკითხა: ”კი მაგრამ ჩვენი კამათიო?”

ბუდამ უპასუხა: „ჯერ ექიმმა ნახოს შენი თვალებიო.”

ექიმმა ნახა სნეული და სთქვა, რომ მაინცა და მაინც სერიოზული არაფერიან. ყველაზე მეტი, ნახეგარ წელიწადში მორჩებო.”

ბუდამ სთხოვა ექიმს ღარჩენა და ემკურნალა უსინათლოსათვის. “ანი როდესაც იგი სინათლეს დაინახავს, მომიყვანეთ და მაშინ უკვე აზრი ექნება მასთან სინათლეზე საუბარსო. ეხლა კი საუბარს აზრი არა აქვს, რადგან იგი ბნელსაც კი ვერა ხედავსო. თვალები ხომ იმისთვისაცაა საჭირო, რომ სიბნელე დაინახო.”

გავიდა ვადა. ბრმა აცრემლეული მივიდა ბუდასთან და უთხრა: „მე იმაზე მსურდა ღავა, რაც უდაოა, მე მინდოდა

მტკიცებულებანი იქ, სადაც საჭირო იყო მხოლოდ განცდა. შენ დიდი სათნოებით მომექეცი მე, ოდეს კამათზე მითხარი უარი. მე კი მთელი სიცოცხლე ვკამათობდი და ვკარგავდი დროს, ნაცვლად იმისა, რომ მემკურნალა და დრო არ დამეკარგა. ცოცხლობდე თვალების გარეშე, იგივეა რომ არც კი ცოცხლობდე. ხომ შეიძლებოდა ისე მოემკვდარიყავი, რომ ვერასოდეს გავიგებდი ალიონისა და



დაისის სილამაზეს, ვარსკვლავებით მოჭედელი ზეცის მშვენიებას, ვერ ვნახავდი ყვავილებსა და ცისარტყელას...

ჭეშმარიტი სულიერების დანიშნულებაა, გაუხსნა ადამიანს შინაგანი ხედვის ბრწყინვალება.

ადამიანს, რომელსაც საკუთარი თავის დანახვა შეუძლიან, თავისუფალია ყოველგვარი მონობისაგან - რელიგიური, იდეოლოგიური, თეოლოგიური, ფილოსოფიური, პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა ნებისმიერი მონობისაგან, რამეთუ მას უკვე საკუთარი, თავისი დამოუკიდებელი ხედვა გააჩნია. იგი ყველასაგან და ყველაფრისაგან დამოუკიდებელია და უკვე საშიშია, რამეთუ იგი ხედავს!!! მას ვერავინ ვეღარ მოატყუებს. ღვთაებრივი თავისთავად როდი ჩანს.

მას ან ყველა თვისება გააჩნია, ან არანაირი თვისებები არა აქვს. ყოველივე ის,

რასაც ჩვენ ღმერთის თვისებებს ვეძახით, სინამდვილეში თვისებები როდია, არამედ ეს ჩვენი აღქმაა და ჩვენივე განმარტებანი. მაგრამ ვერცერთი განმარტება ვერ იქნება მიღებული მთელი კაცობრიობისაგან ერთდროულად.

ღმერთი თქვენივე პირადი ტერმინებით უნდა აგეხსნათ. ოდეს ღმერთის თვისებებს განმარტავთ, თქვენ საკუთარივე განმარტებათა ნაწილი ხართ. განმარტება თქვენგან მოდის, თავად ღმერთი კი არ განიმარტება, იგი არანაირ განმარტებას არ ექვემდებარება.

ჩვენ ვჭვრეტთ ღმერთს განმარტებათა ჩარჩოებიდან, მსგავსად იმისა, როგორც ვხედავთ ზეცას ფანჯრიდან. აი, ასეთივე ჩარჩოებითაა ღმერთი ჩვენგან შეზღუდული. ფანჯრის ჩარჩო ფაქტიურად ზეცის ჩარჩოა. მაგრამ ზეცას ხომ არანაირი ჩარჩო არ გააჩნია. იგი უსასრულოა.

ყველაფერი, რაც კი შეიძლება ითქვას ღვთაებრივზე, იქნება მსგავსი ჩარჩოდან ნანახისა და შესაბამისად განმარტებული, რამეთუ ყველაფერი რისი გამოხატვაც შეიძლება, სინამდვილეში ფანჯარაზეა ნათქვამი და არა თავად ზეცაზე. ზეცა განუმარტავია. არცერთი სიტყვა მას არ ესადაგება, და ყოველი თეორია მის მიმართ, არაადეკვატურია.

გასხივოსნებულის (შინაგანი ჭვრეტის უნარიანი), ფანჯრიდან როდი უცქერს ზეცას. იგი გარეთ გამოდის და უცქერს ზეცას ყოველგვარი ჩარჩოებისა თუ ფანჯრების, ან მოდელების გარეშე. და იგი მიმართავს ყოველ რელიგიას, რომლებიც მტრობენ და ედავებიან ერთმანეთს: „თქვენ ღვთაებრივ თვისებებზე როდი დაობთ, თქვენ თქვენს ფანჯრებზე დაობთ, მაგრამ ყოველი ფანჯრიდან ხომ ერთი და იგივე ზეცა მოსჩანს?“

მაგრამ მაინც, ვერავინ შეძლო ერთნაირად აღეწერა ზეცა, თუმცა ზეცა ყოველთვის ერთი და იგივეა. თავად აღწერა ამონარიდია, რამეთუ მთლიანი

შეტყობინება შეუძლებელია. შეტყობინება ხომ ინდივიდისაგან მოდის, სიტყვებით, სხვადასხვა ენებით, ასევე სიცოცხლის სხვადასხვა წესთა გამოცდილებით.

შემეცნების მომენტში თქვენ სრულიად მარტონი ხართ და თქვენთვის არ არსებობს არცა სიტყვები და არცა ენა, მაგრამ იმისათვის, რომ თქვენ სთქვათ ის, რაც შეიმეცნეთ, თქვენ იმ ენას გამოიყენებთ, რომლითაც სარგებლობდით შეცნობამდის, ანუ ქრისტიანობის, ბუდიზმის, ინდუიზმის, იუდაიზმის, ისლამის თუ სხვათა ენებით.

მარტოს იმიტომ, რომ იგი არსებობს სხვა საგანთა შორის. მაგალითად, შეიძლება ვთქვათ, რომ მაგიდა სკამი არაა. მისი განმარტება ასევე შეიძლება სხვა საგანთან მიმართებაში. საგანს გააჩნია თავისი საზღვრები, მოხაზულობა, რომლის იქეთ სხვა რაღაც იწყება. სინამდვილეში, ჩვენ იმ საზღვრებს განვმარტავთ, საიდანაც რაღაც სხვა ახალი იწყება.

მაგრამ ღვთაებრივზე ვერაფერს ვიტყვით. ღვთაებრივი წარმოადგენს მთლიანობას, მას არა აქვს საზღვრები; არ არსებობს



ნ.კ. რერიხი, ჩვენც ვაღებთ კარიბჭეს  
1922წ.

არსებობენ ჭეშმარიტებანი, რომელთა გამოთქმა შესაძლებელია. არსებობენ ისეთი ჭეშმარიტებანიც, რომელთა მხოლოდ ჩვენებაა შესაძლებელი, მაგრამ გამოუთქმელია. საგანი შეიძლება განი-

ისეთი ადგილი, საიდანაც რაღაც სხვა დაიწყება. არ არსებობს ის „რაღაც სხვა.“ ღვთაებრივი უსარულოა და ამიტომაც შეუძლებელია მისი განმარტება.

# სიყვარულის შესახებ წარმოდგენათა განვითარება

სიყვარული არსებობს სულის განვითარების ყოველ საფეხურზე, ისევე, როგორც ზიკურატის (ბაბილონის გოდოლი) ყოველ საფეხურზე. ეს იმიტომ, რომ სიყვარული წარმოადგენს მატერიისაგან საკუთარი თავის შეცნობის უნივერსალურ იარაღს. ეთერულ გეგმილზე ადამიანთა სიყვარული წარმოადგენს შთამომავლობის შექმნის მისწრაფებას. გაიტანო ცხოვრება და გამრავლდე – აი რა არის პირველი ჩაკრამის ცხოველური გონების მიზანი. დედამიწის მცირერიცხოვან, ნახევრად ველური ტომებისათვის ფიზიკური (ეთერული) სიყვარული – ერთადერთი ძირითადი საშუალებაა ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობების დროს. ველურ ტომებში პრაქტიკულად ყოველი მამაკაცი ვალდებულია გაანაყოფიეროს ქალი, რომელიც მზადაა გააჩინოს შთამომავლობა. აქ ოჯახი წარმოადგენს ერთ დიდ ჯოგს საერთო ცოლებითა და ბავშვებით. თემურ წყობილებაში ადგილი არა აქვს ეჭვიანობასა და ეგოიზმს. ველურთა სიყვარული, ესაა სიყვარული დრამების, ტრაგედიებისა და შურის გარეშე. მას ერთი მიზანი აქვს, – მოდგმის გაგრძელება. სიამოვნების მიღება კი ეს უკვე სხვა საქმეა. ჩრდილოეთის ველურ ტომებს შემორჩათ ძველი ადათი: სახლის პატრონი საკუთარ ცოლს სტუმარს უწვენს გვერდში. თუ სტუმარი უარს ამბობს ამგვარ საჩუქარზე ეს ნიშნავს იმას, რომ მასპინძელს შეურაცხყოფა მიაყენეს. ეთერულ გეგმილზე სიყვარული – მოვალეობაა, მორჩილება, დაცემული სულის თემის სულის წინაშე ვალდებულება. და ეს ვალი, როგორც მორჩილება, მუდგანდება არა მხოლოდ

სექსუალურ გეგმილზე, არამედ ცხოვრების ყველა სხვა ასპექტებშიც.

პირწმინდად წმინდა სიამოვნების საფუძველი, ჩადებულია მეორე საფეხურის ფუძეში, ვიტალური სიყვარულის საფუძველში, „მეორე ჩაკრის“ ადამიანთა შინაარსში. ასეთ სიყვარულს სწორი იქნებოდა დაერქვას „სიყვარული - ეჭვიანობა“, „სიყვარული - ტანჯვა“, „სიყვარული - სიძულვილი“, „სიყვარული - ძალაუფლება“, „სიყვარული - ავხორცობა“, რამეთუ ვიტალურ გეგმილზე ეს გრძნობები ჭექა-ქუხილის ერთიანი მორევიანა. ვიტალური სხეული გრძნობათა ძალზედ ვრცელ პალიტრას ფლობს. აი ზოგიერთი მათგანი: სიმპატია და ანტიპატია, დასაკუთრების ჟინი და სიძულვილი, სიკეთე და რისხვა, პატივმოყვარეობა და ეჭვიანობა და სხვა მრავალი.

ვიტალურ სიყვარულს დედამიწაზე აქვს თავისი დაბადების, განვითარების, სიბერისა და გარდაცვალების სტადიები. ყველაფერი იწყება ჭაბუკური სიყვარულიდან. სიყვარულის ობიექტი ამ დროს ღვთაების დონემდეა აყვანილი: შეყვარებულის მთელი ძალდონე და სახსრები მიმართულია მხოლოდ ერთი მიზნისდა მისადწევად – რამენაირად მიაღწიოს შეყვარებულის სიმპათიებსა და კეთილგანწყობას. ქალები ამ დროს იყენებენ ირიბ, ძალიან ეშმაკურ ხრიკებს და მამაკაცები კი საკუთარ განსხვავებულ ილეთებს, მაგრამ ყოველი მათგანი ერთ მიზანს ემსახურება: თავშეუკავებელ სექსს, სიყვარულით ადამიანის დასაკუთრებას, სიამოვნების მიღებას, ცხოველური ჟინის დაკმაყოფილებას. ვიტალური

შეყვარებულობის დროს, ინდივიდში ბო-  
ბოქრობენ ვნებათა ოკეანის ტალღები და  
იგივე სიძლიერის ტრაგედიები. იღვრება  
ნიაგარის ცრემლები, ტანჯვის მოქცევის  
ტალღები, ეჭვიანობის წარღვნები თავით  
ფეხებამდე ტბორავენ ადამიანებს. ვნებათა  
ტრაგედიების აფეთქებანი დუელების,  
საშინელი მკვლელობების, და განწირული  
თვითმკვლელობების მიზეზები ხდებიან.  
ამ დროს ეგრეთწოდებულ პოეტებს  
(მეორე საფეხურის ადამიანებს) თავში  
უჩნდებათ გაუზიარებელი სიყვარულის  
გართმული სტრიქონები ისევე, როგორც  
ეგრეთწოდებული კომპოზიტორები წერენ  
ტრივიალურ მუსიკებს ოთხი მთარული  
აკორდით. იოლად ტრაგიზმისაკენ მიდ-  
რეკილი პოეტები საკუთარ გაუზიარებელ  
გრძნობათა სიმებზე იხრჩობენ თავს.

ვიტალური შეყვარებულობა – ესაა  
ერთ-ერთი უძლიერესი შემოქმედებითი  
პროცესი, უძლიერესი კატალიზატორი  
მდაბიო ხალხისათვის და ცხოვრებაში  
ჩვენს პლანეტაზე, რიგით ქალებსა  
და მამაკაცებს გააჩნიათ ამგვარი  
იარაღის მთელი არსენალი, რომელთა  
მეშვეობითაც ისინი ინარჩუნებენ საკუთარ  
თავს ეგრეთწოდებულ „შემოქმედებით  
მდგომარეობაში“ – ანუ ვიტალური შეყვა-  
რებულობის მდგომარეობაში. მაგალითად,  
ისინი შეგნებულად და ძალზედ იშვიათი  
ხელოვნურობით თამაშობენ ეჭვიანობის  
გრძნობებსა და ემოციებს: პერიოდულად  
იცვლიან საყვარლებს, მიდიან ნებისმიერ  
სექსუალურ კონტაქტზე; ერთსქესიანი  
კავშირები, ყოველნაირი სექსუალური  
უკუღმართობანი და მრავალი და მრავალი  
სხვა.

როდესაც ახალგაზრდული შეყვა-  
რებულობა დაყრის თავის პირველ  
ყვავილებს როგორც ატმის ხე, მისგან  
რჩება მხოლოდ ვიტალური კავშირი.  
ამის შემდეგ სიყვარულის ობიექტის  
მიმართ ინდივიდს უჩნდება, თითქოს და  
არამოტივირებული ბოღმის, გაღიზიანებისა

და სიძულვილის გრძნობები. ეს გრძნობები  
ქვეცნობიერად დაკავშირებული არიან იმ  
შეგრძნებებთან, რომლებიც ვიტალური  
სიყვარულის ობიექტთან ენერგეტიკული  
დამოკიდებულების გამო არიან გაჩენილნი,  
ან მისი მხრიდან გამპირიზმთან, ანდა  
კიდევ, ასევე მისი მხრიდან, საქმიანობაში  
თავისუფლების შეზღუდვასთან; ახალ  
სიამოვნებათა მიღების უკმარისობასთან,  
როგორც საქმიანობაში ასე აზრებშიდაც.  
ყოველი, თუნდაც უმცირესი მინიშნება  
„თავისუფლებაზე“ ან „გვერდზე გახე-  
დვაზე“, ყოველი მინიშნება „თავისუფალ  
საქციელზე“, ან მსგავს თემაზე ვიტა-  
ლურად შეყვარებულში მომენტალურდ  
აჩენს ეჭვიანობას. ზოგჯერ ეჭვიანობა,  
შეყვარებულის მიმართ „საკუთრების  
გრძნობა“, რომელიც შეიძლება არ  
დაგემორჩილოს და გიდალატოს, აუტანელი  
ხდება. აქედან ხშირი „გაბუტვები“ შეყვა-  
რებულებს შორის, მუდმივი ნევროზები და  
აგრესიულობა, სიძულვილის ემოციების  
აფეთქებები და „შეყვარებულების“ არა  
მოტივირებული თავდასხმები ერთმანეთზე  
აღაგზნებენ ეგოისტურ გრძნობას  
„მეპატრონეში“, საკუთრების მფლობელში.  
ინდივიდი ფიქრობს, რომ „ეს როგორ?!  
„ჩემი“ საკუთრება მე არ მემორჩილება და  
ისე არ იქცევა, როგორც მე მინდა (ანუ  
მას არ მოსწონს მისი საქციელი რადგან  
ისე არ ფიქრობს, როგორც „პატრონი“).  
ასეთი ცეცხლოვანი აზრების გამო ზღვარს  
მისული ოჯახური ვნებების მღუღარე ქვაბი  
ფეთქდება.

ვიტალური სიყვარული არასოდეს  
არაა მყარი, იმიტომ, რომ ის მხოლოდ  
სექსუალურია, იგი მუდმივი ძიებაა, იგი  
მისწრაფებაა ახალ-ახალი სიამოვნებების  
მიღებისაკენ. აი, ამიტომ ჩნდება მათ  
შორის ხშირი დალატი, რადგან ახალ  
სიამოვნებათა და ახალგაზრდულ გან-  
ცდათა, და მძაფრ ურთიერთობათა  
ძიება გრძელდება. შეყვარებულობის  
მდგომარეობის დაბრუნება, ყველა თავისი

ულამაზესი გრძნობებისა თუ განცდებისა მოხდება მხოლოდ ახალი შეყვარებულობის დროს, ანუ პარტნიორის ჩანაცვლებით. და ეს მხოლოდ ისევ მოკლე დროით ხდება, საკუთარი ნებაყოფლობით, ისევ ახალი ტანჯვისთვის თავის გაწირვით. ისევე როგორც უწყლოდ შეუძლებელია არსებობა, ასე ვიტალური სიყვარულის დროს, – სქესობრივი ურთიერთობის გარეშე არსებობა შეუძლებელია.



ნ.კ. რერიხი, TERAPHIM (თილისმა) 1933წ.

მიწიერ ბინადართა შორის არსებობს მთარული აზრი იმის შესახებ, რომ ყოველი მამაკაცი თუ ქალი ამ არამდგრად ცხოვრებაში, ასეთ მყარ დედამიწაზე ეძებს თავის ერთადერთ ტყუპისცალს. ითვლება, რომ ვიღაცას ბედი უღიმის და თავის მეორე ნახევარს, გნებავთ ტყუპისცალს, – პოულობს და ასეთი შეყვარებულები ღმერთების ტოლები ხდებიან. ეს რა თქმა უნდა ასე როდია. ვერავინ ვერასოდეს ამ გარესამყაროში ვერ შესძლებს, ამ გაგებით, გამთლიანებას,

რადგან განქორწინება ბოლოს და ბოლოს ხდება ერთადერთ სამართლიან უმაღლეს სასამართლოში, სადაც მოსამართლე სიკვდილია და ბრალმდებელი კი სიბერე. დაკარგული მეორე ნახევარის ლეგენდები ლემურიელებიდან მოდის. მათ სივრცეში იყო განხორციელებული სქესის განცალკევება.

დედამიწის პირველი ბინადარნი ეთერულ სხეულებში არსებობდნენ. მათ შეეძლოთ სიარულიცა და ფრენაც. მიწის წიაღშიც გადაადგილება, ნაწილებად დაშლა და ისევ გამთლიანება. პირველ რასას არასოდეს არ ჰქონია ფიზიკური სხეულები, ამიტომაც ისინი არასოდეს არ კვდებოდნენ. ადამიანები უბრალოდ „დნებოდნენ“ და შთამომავალთა სხეულებისაგან შთაინთქმებოდნენ. დროთა განმავლობაში დედამიწა სულ უფრო შორდებოდა მზეს და მიწიერ ადამიანთა სხეულები სულ უფრო მკვრივდებოდა და უხემდებოდა.

მეორე რასა პირველი რასისაგან წარმოიშვა. ეს უკვე 50 მეტრის სიმაღლის ორთქლის ღრუბლების ქმნილება იყო. თუ პირველი რასა უბრალო გაყოფით მრავლდებოდა და ერთი ფორმიდან მეორეში ეთერის გადაღინებით ხდებოდა, მეორე რასაში ეს უფრო რთულად ხდება. ეს პროცესი პლანეტების თანამედროვე განვითარების პროცესსა ჰგავს: ეთერული სხეული, რომელიც შეიცავს მონადას (უკვდავ სულიერ ერთეულს), გარშემორტყმული იყო კვერცხის მაგვარი აურით. როდესაც გამრავლების ვადები დგებოდა, ეთერული ფორმა უბრალოდ გარეთ გამოაგდებდა მონადას თავისი კვერცხიდან. ეს ჩანასახი იზრდებოდა მშობლის აურის კვების მადლით. ნელ-ნელა იზრდებოდა ნაყოფი და ბოლოს ჭიპლარსაც წყვიტავდა და თავისი წილი სინათლე მიჰქონდა თან, რომელიც ექვსი ტყუპისცალისგან შესდგებოდა.

დაახლოებით მესამე რასის შუამდის - ანუ ლემურიელთა რასის დროს - ადამიანები

ეთერულები და სქესის არამქონენი იყვნენ. როდესაც დედამიწა მზეს 120 მილიონი კილომეტრით დაშორდა, პლანეტაც ნელ-ნელა გაცივდა, დედამიწის ქერქი გამყარდა და ჩრდილო პოლუსზე გაჩნდა უზარმაზარი კონტინენტი. იმ დროს ზოგიერთი ადამიანი მშობლებიდან იკვირებოდნენ. მშობლებს უმეტეს წილად „ინ“ ენერგიას ართმევდნენ ანუ მამრ ენერგიებს ღებულობდნენ. მაგრამ იმისათვის, რომ სიცოცხლის უნარიანი შთამომავლობა გაჩენილიყო, ადამიანი საკუთარი სხეულის ენერგეტიკას აწონასწორებდა. ამიტომ ის ლემურიელები, რომლებსაც აკლდათ მამრი ენერგიები, მიემაგნიტებოდნენ „იან“ ენერგიის სიჭარბის მქონეებს. უბრალოდ რომ ვთქვათ ისინი წოვდნენ სხვა ადამიანებისაგან საჭირო ენერგიებს, რომლებიც მათ აკლდათ. ორ, სხვადასხვა პოლუსის მქონე ადამიანთა შორის, ჩნდებოდა ნაპერწკალი. ეს ისე ხდებოდა, როგორც ღრუბლებს შორის ელვის გარბენა. ეს ხომ ორი სხვადასხვა მუხტის მქონე ღრუბლებს შორის ცნობილი მოვლენაა. ამგვარი მოკლე ჩართვის დროს ლემურიელის სხეული ტორტმანებდა ელექტროობის მის სხეულში გავლის დროს და ამის შემდეგ ვამპირის სხეული მშვიდდებოდა. აწყნარებდა რა საკუთარ სხეულს, ვამპირი ლემურიელი, წყნარდებოდა. ასეთნაირად განიცდიდა ლემურიელი ორგანიზმს. თანამედროვე ადამიანთა შორისაც ხდება ამგვარი მოკლე ელექტრული ჩართვა, ხდება ვიბრაციები, რომლებიც უჯრედების დონეზე იძლევიან ზეციური ბედნიერების შეგრძნებას. ძალიან კარგადაა ცნობილი, რომ ასეთი ბედნიერებისათვის სულაც არაა საჭირო სექსუალური კავშირი. ვიტალური ორგანიზმი სხვადასხვა „ხერხით“ ხდება და ეს უკვე სასიცოცხლო ენერგიების უბადრუკად ხარჯვაა, შემოქმედებითი ენერგიების კარგვა, გამოფიტვა, სიბერე, სნეულებანი და... სიკვდილი. ეს იმიტომ ხდება, რომ დედამიწის ბინადარნი საკუთარი

სასიცოცხლო პროგრამის შესასრულებლად გარკვეულად მოზომილ ენერგიას ფლობენ. ეს ენერგია თავის დაძაბულობით პირველ და მეშვიდე ჩაკრამებს შორის პოტენციალით განისაზღვრება. ვიდრე ხერხემალში პირველ და მეშვიდე ჩაკრამებს შორის პოტენციალი არსებობს, – სიცოცხლეც შესაძლებელია.

საკუთარი მეორე ნახევრის ვიტალური სიყვარულის სივრცეში პოვნა, – შეუძლებელია, რამეთუ ვიტალური ისევე, როგორც ფიზიკური, – ილუზორულია პირწმინდად გარეგნული ადამიანის შინაგანი სამყაროს მიმართ. და ეს იმიტომ, რომ ჭეშმარიტება – სიმპათიისაგან ძალიან, ძალიან შორსა დგას. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ჯოჯოხეთის ზოგიერთი შრეები შექმნილია ვიტალური მატერიისაგან.

ზიკურატის მესამე საფეხური, სიყვარულის მესამე ნაირსახეობა – მენტალური სიყვარულია.

მიწიერი ადამიანის მენტალური სხეული ორი ჩაკრამის შემოქმედების ნაყოფია (მესამე და მეოთხე ჩაკრამები). ყველაფერი, რასაც ჩვენ ლოგიკას, მსჯელობით აზროვნებას, ანალიზს, დროში არსებობასა და სამგანზომილებიან სივრცეში არსებობას ვუწოდებთ, ეს ყველაფერი მესამე ჩაკრამის ნაყოფია. ესაა ეგრეთ წოდებული მდაბალი მენტალი – ადამიანის პიროვნების ერთპიროვნული წარმომადგენელი ამ დედამიწაზე. ეს იმიტომ, რომ მეექვსე ჩაკრამი – ადამიანთა უმეტეს პროცენტს, ჩაკეტილი აქვთ მისივე კარმის ანგელოზების მიერ. მესამე ჩაკრამს მიწიერ გეგმილზე თავისი წარმომადგენელი ჰყავს – თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო. ესაა ჩვენი ლოგიკური გონი – მმართველი ორგანო და ადამიანის ეგოს მცველი, პიროვნების გააფთრებული მცველი და სულის მარადიული მტერი (Страж По-ра). მრავალ ეზოთერულ სკოლაში ეშმაკის უკან იგულისხმება ადამიანის ტვინის



მსჯელობის უნარი. მსჯელობით (სასჯელის გამოტანის თვალსაზრისით) აზროვნების უნარი მიიჩნევა, რომ სიცოცხლეს აქვს თავისი აზრი და მიზანი. მაგრამ, ეს ნიშნავს იმას, რომ სივრცე და დრო შეზღუდულებია, ანუ სამყაროს საზღვრები ჰქონია. ამგვარი ლოგიკა, რომელიც ერთდროულად ამტკიცებს, იმას რომ სამყარო უსასრულოა, საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. ადამიანის მენტალური ორეული ერთიან საკაცობრიო ეგრეგორში არსებობს. საერთო ეგრეგორი ყველა ადამიანს მართავს, ისე როგორც მარიონეტებს, მუდამ ატყუებს მათ და აიძულებს მათ აკეთონ ის, რაც მიწის ღმერთებს სურთ. მენტალური არსება ანაწევრებს ინფორმაციას, რომელსაც ჭიპიდან ღებულობს მიწიერი კაცობრიობის ეგრეგორიდან და ახდენს მის დამუშავებას არითმეტიკული აზრებიდან და მშრალი ლოგიკური ოპერაციების მეშვეობით. ადამიანის მენტალურ სხეულს შეუძლიან ყველაფრის თავ-თავის ადგილზე დალაგება და, მათ შორის, რა თქმა უნდა, სასიყვარულო ურთიერთობებისაც, ასევე ყოველივე მათგანს დაარქვას თავისი სახელი და შესაბამისი ფასიც დაადოს მათ. ეს ორეული „სიყვარულის ორგანოსთან“ როდია პირდაპირი კავშირით დაკავშირებული, იგი უფრო მიკერძოებულ გადაწყვეტილებას ღებულობს, როდესაც ირჩევს ერთს მეორის სანაცვლოდ მხოლოდ იმიტომ, რომ მას „ირჩევს“. მენტალურ არსების მეორე არსებისადმი სიყვარული, პოზიტიურ ჭრილში, – ესაა სიყვარული – მეგობრობა, ურთიერთ სასარგებლო ცხოვრებისეული ინტერესების გამო. ნეგატიურ ვარიანტში ესაა სიყვარული ანგარებით. მაგრამ მენტალური სიყვარული არ გამოირიცხავს პარტნიორთა შორის სექსუალურ ურთიერთობას მიუხედავად იმისა, რომ გარეშე თვალისათვის ასეთი სიყვარული „უმარილოა“. მართლაც რომ, ასეთი ურთიერთობა მოკლებულია სინარული ცრემლებს,

სავსეა მტანჯველი ეჭვიანობებითა თუ აღტაცებებით, უსიამოვნებებით, ოჯახური არეულობებით და ადამიანთა გართობის სხვა ფორმებით. ასეთი სიყვარული არ ბორკავს პარტნიორთა თავისუფლებას, არ კინნავს მათ ინტერესებს, არ არყევს მათ ცხოვრებას ვნებათა კატაკლიზმებით. თუმცა ცხოვრებაში იშვიათად ხდება ასეთი, პირწმინდად მენტალური სიყვარული, რამეთუ, როგორც წესი, დაწყებით პერიოდში მასში ყოველთვის არსებობს რაღაც რაოდენობის ვიტალური სიყვარული, და მხოლოდ თანდათან, წლების განმავლობაში, ვნებები განლევამდის ქრებიან.

ასტრალური სიყვარული – ეს ბაბილონის გოდოლის მეოთხე საფეხურია. იგი ავლენს ადამიანური სიყვარულის უფრო მაღალ ფორმას. ქვეცნობიერ სიყვარულს ეჭვიანობა, საყვედური, პრეტენზიები საყვარელი ადამიანის მიმართ, – აღარ ახასიათებს. ესაა სიყვარული – სინარულით, სიყვარული – თავისგაღებამდის, ესაა ბენიერებისა და მსხვერპლის გაღების სიყვარული. ინდივიდს უბრალოდ უყვარს, უყვარს მიუხედავად იმისა თუ როგორ ექცევა მას შეყვარებული და არაფერს ითხოვს სანაცვლოდ. შეყვარებული უკვე იმითაა კმაყოფილი რომ, არსებობს საყვარელი ადამიანი, თუნდაც არა მის გვერდით, თუნდაც სადღაც შორს, – ამას მნიშვნელობა უკვე აღარა აქვს. ჭეშმარიტად ასტრალურ სიყვარულში არ არსებობს დამოკიდებულება ეთერულ, ვიტალურ თუ მენტალურ სხეულებზედ, თუმცა ყველაფერი რაც ინტიმურ ურთიერთობებს ეხება, ამ შემთხვევაში სრული სისავსით ვლინდება მასში. ქვეცნობიერ სიყვარულში არა აქვს ადგილი ტანჯვას – ესაა სრულიად გაწონასწორებული და ღრმა გრძნობა. ორმხრივად ასტრალური სიყვარული – ადამიანური სიყვარულის იდეალია ამ დედამიწაზე. მაგრამ თავად ასტრალური სიყვარული, რომელსაც მიწიერი ადამიანი

განიცდის ამ პლანეტაზე სხვა განსხვავებული არსების მიმართ – მეტად იშვიათი მოვლენაა. ათასჯერ უფრო ნაკლებადაა იგი ორმხრივი, რადგან ზედმიწევნით ცოტაა დედამიწაზე იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთა გულის ჩაკრამი სრულიადაა



ნ.კ. რერიხი, ჩანჩქერის მღერა 1920წ.

გახსნილი. თუ ასტრალური ჩაკრა არაა გახსნილი სრულფასოვნად, არამედ სანახევროდ, მაშინ ხდება შეზავებული ასტრალურ-ვიტალური სიყვარული, რასაც გარდაუვალად მოჰყვება ცრემლები და სულიერი ტანჯვა ინდივიდისა. ქვეცნობიერი სიყვარული კარგად ერწყმის

პოზიტიურ მენტალურ სიყვარულს, ანუ სიყვარულ – მეგობრობას. გაუზიარებელი ასტრალური სიყვარული უსიყვარულოს ჰქმნის ადამიანებს ერთმანეთის მიმართ.

ასტრალური სიყვარული, მისი წმინდა შინაარსით, ადამიანთა უმეტესობის მიერ მეტისმეტად აგრესიულად აღიქმება, რამეთუ პლანეტა დედამიწა დღეს უკვე ვიტალური ჯოჯონეთის წრეს მიეკუთვნება. მიწიერ ადამიანებს ასტრალური სიყვარული არასრულფასოვან, მიუღებელ მოვლენად მიაჩნიათ, რადგან მიწიერ წარმოდგენებში არ ეტყვა „ნამდვილი სიყვარულის“ წარმოდგენები იმ თვალსაზრისით, რომელსაც ახასიათებს მტანჯველი ტრაგედიები, ჩხუბი, ეჭვიანობა, სისხლი და ცრემლი თავისივე მომაკვდინებელი ვნებებით. ამიტომ უბრალო ადამიანები ქვეცნობიერ სიყვარულს უყოყმანოდ უარჰყოფენ, მრისხანედ გმობენ და ყოველნაირად დევნიან მას...

ზიკურატის მეექვსე საფეხური, სიყვარულის მეექვსე სახეობა – ესაა აჯნისეული ანუ ზეციური სიყვარული, რაც ტოტალურ სიყვარულს წარმოადგენს. იგი მთლიანად თავისუფალია ყოველგვარი ეგოისტური მოთხოვნებისაგან და ამასთან ერთად მოიცავს ცნობიერების ყველა გეგმილს. ამ სიყვარულში ამოქმედებულია უმაღლესი მენტალის სხეული, სხვაგვარად კი - ზეცნობიერება, რომელსაც მექვსე - აჯნა ჩაკრა ჰქმნის. ზეციური სიყვარული, - ესაა სიყვარული ყოველი არსებულის მიმართ. თანამედროვე მიწიერ კაცობრიობაში აჯნა სიყვარულის მდგომარეობა შეუძლიათ განიცადონ ადამიანებმა, რომლებიც სპეციალურ, სულიერ თუ ეზოთერულ ვარჯიშთა პრაქტიკას ეწევიან ათეული წლების მანძილზედ მრავალ სიცოცხლეთა განმავლობაში. მაგალითად სუფთა ადამიანები, მრავალ ცხოვრებათა მანძილზე რაჯა იოგის მაღლით კარგად ავითარებენ საკუთარ ზეციურ სხეულს, სახელად – ზეცნობიერება. ასეთ იოგებს ესმით და

გრძნობენ კიდევ ღმერთს. ამას მიჰყავს ისინი ზეამაღლებულ და კეთილშობილ აზრებთან, ლამაზ სურვილებთან და უმანკო მოქმედებებთან. ყველაფერი, რაც ადამიანთაგან მიჩნეულია სიკეთედ, კეთილშობილად და ამაღლებულად, ღვთიური წესის თანამხმად, უხილავად მოედინება ჩვენსკენ სულიერი გონებიდან. მეექვსე სხეულის განვითარებასთან ერთად, ადამიანს უჩნდება მდგრადი გრძნობა ერთიანი, უზენაესი სიყვარულის არსებობის მიმართ, მასში იზრდება ერთიანობის შეგნება არა მხოლოდ მთლიანად კაცობრიობის მიმართ, არამედ მთელი სამყაროს მიმართაც. გახსნილი აჯნა ჩაკრა ქვეცნობიერებასაც და ინტელექტსაც გადასცემს ისეთ ჭეშმარიტებებს, რომლებთანაც ისინი ვერასოდეს ვერ მივიდოდნენ სხვაგვარად. ზეცნობიერება შთაგონების წყაროს წარმოადგენს უდიდესი, გენიალური პოეტებისა და კოსმიური მწერლებისათვის, ღვთაებრივი მუსიკის შემქმნელთათვის, არამიწიერი სურათების მხატვართათვის და კაცობრიობის უდიდეს მოციქულთათვის. ზეციური სიყვარულიდან უზენაესი მაგები და ნათელმხილველები დებულბენ ცოდნას წარსულის, დღევანდლობისა და მომავლის შესახებ. ეს ხდება გირჩისებრ ჯირკვალში. იქ, იქ სულის სავანეშია კონცენტრირებული ყოველი ცოდნა სამყაროთა და ადამიანთა აგებულებებისა. უშეღავათო ერთგულება ადამიანისა იოგის საფეხურების მიმართ საშუალებას აძლევს ჭეშმარიტების მაძიებელს ეგოისტური სხეულები გაამხოლოვოს ერთმანეთისაგან (ეთერული, ვიტალური და მენტალური) და გააცნობიეროს სიყვარულის გრძნობა, რაც დამახასიათებელია ადამიანის ყოველი სხეულისათვის, მისი ყოველი ნიუანსით. რიგითი მიწიერი ადამიანი, თავის მიწიერ განსხეულებებში, უბრალოდ ვაღდებულება გაიაროს სიყვარულის სხვადასხვა ფორმები, დაწყებული უმარტივესი ეგოისტური

ვიტალურიდან. მოიგიჟიანებს რა და გაიცნობიერებს საკუთარ თავს მიწიერი ბინადარი, თანდათანობით გაადამიანდება. იგი მენტალური სიყვარულიდან ფსიქიურზე გადავა და მხოლოდ შემდეგ ამისა, როდესაც მრავალი გაკვეთილის სახით გავლილი სიცოცხლეები ადამიანს აიძულებს იმდენად სრულჰყოს საკუთარ თავი, რომ თვალები საბოლოოდ გაახილოს, მაშინ იგი შესძლებს თანდათანობით მიუახლოვდეს აჯნისეულ სიყვარულს. სიყვარულის ყოველი ფორმა ითხოვს სულისაგან დედამიწაზე მიღებული მწარე გამოცდილების გაცნობიერებასა და კარმიული დანაგროვების დამუშავებას.

მაგალითად, თუ მიმდინარე ცხოვრებაში ადამიანისაგან არაერთხელ იქნა განცდილი ვიტალური სიყვარულის ტრაგიკული გამოცდილება, მაშინ მომავალი ცხოვრების რომელიღაც ეტაპზე, ინდივიდი, ბოლოს და ბოლოს შეჩერდება და ეტყვის თავის თავს: „მორჩა, გათავდა! მუდამ ერთი და იგივე! მეტი აღარ შემიძლიან!!!“ ადამიანისაგან ხდება დამანგრეველი, ვიტალური სიყვარულის ჯოჯოხეთური არსის შეგნება და შემდგომი არჩევანი, – ნებისყოფა და ცნობიერი არჩევანი სულ სხვა ურთიერთობების ფორმებისა, საკუთარ სქესობრივ პარტნიორთან. აი ასეთნაირად, ცხოვრებიდან ცხოვრებამდე, ტანჯვიდან ტანჯვამდის მიწიერი ბინადარი აღწევს აჯნისეულ სიყვარულს. ზუსტად აქ მიხვდება იგი იმას, რომ ჭეშმარიტება, – ყოველთვის ზეციური სიყვარულია.

ბერძენის, როგორც აღმასს მრავალი წახნაგი აქვს, ასე სიყვარულსაც – მას მრავალი სახე გააჩნია. სათნოების რამოდენიმე სახეობა არსებობს. დააპურო და შეუნარჩუნო ადამიანს ან ოჯახს სიცოცხლე, დაეხმარო ღარიბს და სნეულს, გახსნა საქველმოქმედო დაწესებულება უპოვართათვის ან ცხოველებისათვის – ეს ღირსეული გამოყენებაა პატიოსნად ნაშრომი ფულისა.

სათნოება, ამაზე მაღლა დგას – მისცე

ვინმეს საერო განათლება. დაფუძვით, რომ თქვენ ას ოქროს აძლევთ ულუკმაპურო ოჯახს. მაგრამ ეს დახმარება – მხოლოდ რამოდენიმე ხანისთვისაა. უფრო მეტიც, თუ ადამიანები, რომელსაც ეხმარებით, უგუნური არიან, მაშინ ფული ფუჭად დაიხარჯება, ან სრულიადაც საზიანოდ მათთვის, ან კიდევ უარესი, სხვათა მიმართ ბოროტებისათვის. მეორეს მხრივ, თუ თქვენ იმ ას ოქროს მათ განათლებას მოახმარებთ, მაშინ თქვენ მათ სამუდამოდ სიკეთეს უკეთებთ. ასე რომ, ასეთი სათნოება მეტია პირველზე.

მაგრამ უმაღლესი ფორმა სათნოებისა არის – დაეხმარო ადამიანს სულიერ განათლებაში. ამას იოლად აკეთებენ განდობილები, წმინდა ადამიანები, ბუდეები და იოგები, რომლებიც ეწევიან წმინდა, უბრალო და სუფთა ცხოვრებას, რაც საკუთარი თავის განწირვასა და უბიწოებაში მდგომარეობს. ამგვარი სიცოცხლე უკვე თავის თავად შთააგონებს ასობით და ათასობით ადამიანს, და დაეხმარება მათ საკუთარ მაგალითზე მიაღწიონ ღვთის რეალიზებას საკუთარ თავში. ამგვარად, ადამიანი თითქოს არავის ასწავლის, მაგრამ ადასრულებს უზენაეს სათნოებას იოგის საფეხურებზე ზესვლით.


და ეს ყველაფერი საჭიროა იმიტომ, რომ ეტაპობრივი გასხივოსნების ცოცხალი მაგალითი ადამიანისა უპირატესია განათლებაზე და ფულად დახმარებაზე. ასეთი მაგალითი ათასობით ტანჯულს მოიხმობს, შთააგონებს ათასობით ურწმუნოს საკუთარი მანკიერებანის დაძლევის შესაძლებლობას. უბრალო ადამიანთათვის ხელმისაწვდომია სათნოების ორი პირველი სახეობა, რადგან მესამე სათნოება, – საკუთარი გონებისა და ხასიათის გარდაქმნა, ყოველწამიერი ბრძოლა საკუთარ სიზარმაცესთან, – ხელმისაწვდომია მხოლოდ ნებისყოფის მქონეთა და ბრძენთათვის.

„არაფრისაგან არაფერი არ ჩნდება. არ არსებობს შედეგი მიზეზის გარეშე. მკვდარი მატერია ვერასოდეს შობს გონიერ არსებებს. დიადი პირველმიზეზი – ფენომენალური სამყაროს მიზეზი

ღმერთია.

პირველსაწყისი მიზეზი შეიძლება სხვადასხვა სახელებით შევამკოთ, – უზენაესი ძალა, კოსმიური გონი, ბუნება, უზენაესი საწყისი და სხვა. სახელები შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგრამ ერთსა და იგივე მცნებას (არსს) ასახავს სიტყვა –

**შემოქმედი!!!**



სოკრატეს გამონათქვამები

ერთმა კაცმა სოკრატეს ჰკითხა:

- იცი, რა მითხრა შენზე შენმა მეგობარმა?
- მოიცადე, - შეაჩერა სოკრატემ, - სანამ რამეს იტყოდე, სამ საცერში გაცერი და ისე მითხარი.
- სამ საცერში?
- დიახ, სამ საცერში. პირველი - ეს არის სიმართლის საცერი, დარწმუნებული ხარ, რომ რის თქმასაც აპირებ, სიმართლეა?
- არა, უბრალოდ რაც მოვისმინე, იმას ვამბობ.
- ესე იგი, შენ არ იცი სიმართლეა ეს თუ არა. კარგი! მაშინ, მოდი ახლა მეორე საცერში გავცრათ შენი სათქმელი.
- მეორე - ეს არის სიკეთის საცერი. მიჰასუხე ის, რაც უნდა მითხრა, კარგია?
- არა, პირიქით.
- ესე იგი, - მშვიდად განაგრძობდა სოკრატე, - შენ გინდა მითხრა რაღაც ცუდი და თანაც არ იცი სიმართლეა თუ არა. კარგი, მაშინ, მოდი ბოლო საცერზე გადავიდეთ. მესამე საცერი - ეს არის სარგებელი. შენი აზრით, რამდენად სასარგებლო იქნება ჩემთვის ის, რისი თქმაც გინდა?
- ვფიქრობ, რომ ის არანაირ სარგებელს არ მოგიტანს
- მაშ ახე, - დაასკვნა სოკრატემ, - თუ ინფორმაციაში, რომელიც გინდა მომაწოდო, არ არის არაფერი არც კარგი, არც მართალი და არც სასარგებლო, მაშინ საერთოდ რა აზრი აქვს მის თქმას?!

\* \* \*

- ვფიქრობ, ხანდახან მწერლობაც გმირობაა - თუ ნაწერი განსასჯელად სულელებს მიეცემათ.
- ჯანმრთელობა ყველაფერი არ არის, მაგრამ ყველაფერი ჯანმრთელობის გარეშე არაფერია.
- სიკვდილი - კაცობრიობის დიდი ილუზიაა. სანამ ვცოცხლობთ ის ჯერ არ არის, როდესაც ვკვდებით ის უკვე აღარ არის.
- სრულყოფილ ადამიანად შეიძლება ჩავთვალოთ ის, ვინც სრულყოფილებისაკენ მიისწრაფვის; ბედნიერ ადამიანად კი შეიძლება ჩავთვალოთ ის, ვინც უკვე აღიარებს, რომ თავის მიზანს მიაღწია.
- სიმდიდრესა და პოპულარობას ღირსება არ მოაქვს.
- მშვენიერება არ არის იქ, სადაც არც სიკეთეა და არც სარგებელი.
- ჩემთან დავა და კამათი ადვილია, ჭეშმარიტებასთან - შეუძლებელი.
- მე გამასამართლებენ ისე, როგორც ბავშვები ასამართლებენ ექიმს.
- განა სოკრატეს ასამართლებენ? ო, არა, სიკვდილი მიუსაჯეს სიმართლეს!

## ცხრაკლიტულის ტყვე...

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, რომელსაც ბავშვობისას სიყვარული დააკლეს, რაც ცხოვრებაში არც ისე იშვიათად ხდება. მშობლები სიცოცხლეს გიბოძებენ და სიყვარული ძალიანაც კი უნდათ რომ მოგცენ, მაგრამ ეს ოხერი ცხოვრება რა დარდსა და საზრუნავს არ მიაყრის მათ... ლუკმა-პური მაინც რომ მიაწოდო და რაღაცნაირად მაინც გაზარდო ბავშვი, აი მშობელთა ბედისწერა შვილების მიმართ და აბა, საყვედური მშობელს როგორღა ვაკადროთ, როდესაც შვილების სიყვარულის გემოც კი ვერ იგემეს და ისე შემოეღიათ ხელში სიცოცხლე... და შვილებიც შეცდომით ისე ფიქრობენ, რომ მშობლებს ისინი არც კი ახსოვდათ საერთოდ.

ასე დაემართა ერთ კაცსაც... და მან ასეთი დასკვნა გააკეთა: სამყარო მასთან მიმართებაში უსამართლოა და ადამიანები კი უგულონი. გასაგებია, რომ ასეთი გადაწყვეტილება მასზე აისახა და მართლაც ასეთი ცხოვრებით ცხოვრობდა. მან დაინახა, რომ ეს მართლაც ასეა და არ შემცდარა, რადგან მას არც მუჯღუგუნები აკლდა, არცა უსამართლობა, არცა აშკარა მტრობა, არცა შური, არცა ტყუილი და ბოროტება ხომ იცოცხლეთ, ხურდაში მოდიოდა და მოდიოდა მასთან უხვად: რამდენჯერაც გული გაუხსნა ვინმეს, იმდენჯერვე დააბიჯეს გულზე ფეხი, რამდენჯერაც სულის საიდუმლოება გაანდო, სულში ჩააფურთხეს... და გული დაიკეტა, უფრო სწორედ, - თავად დაკეტა ცხრაკლიტულზე და გასაღებები კი შორს მოისროლა. უთქვენოდაც კარგად გაეძლებო, - მიაძახა მან წკრიალით შორს ნასროლ გასაღებებს...

მაგრამ იგრძნო, რომ რაღაც უპვირფასესი

დაკარგა: ამის შემდგომ პური უგემური გახდა, წყალი წყურვილს კი უკლავდა, მაგრამ რაღაცის წყურვილი მაინც არ შორდებოდა მას. ირგვლივ ხალხი ირეოდა, მაგრამ სრულ სიმარტოვეს გრძნობდა, - ვერა და ვერ მიაგნო იმას, რაც მას ასე აკლდა და თუ რა აკლდა - ისიც კი თითქმის დაავიწყდა. ერთი სიტყვით ცოცხლობდა მაგრამ სიხარულს ვეღარ და ვეღარ გრძნობდა.

ამის შემდეგ იგრძნო, რომ სული მისი ხმებოდა და გული კი ზამთრის სუსხისაგან მზრალი მიწის მსგავსად სულ უფრო და უფრო სკდებოდა...

ვეღარ გაუძლო ტანჯვას და ერთხელაც მას პირდაპირ გულიდან აღმოხდა გმინვა: აღარ შემიძლიან ამ ცხოვრების ატანაო...

და პასუხად სიცოცხლის ჩუმი, ნახევარი ტონით ნათქვამი პასუხი ჩაესმა: “სიცოცხლის უშრეტი წყარო გულია და იმ უკვდავების წყალსაც - სიყვარული ჰქვიაო, და მხოლოდ მასში, გულში იპოვნო... და გახსენი გული და გაიხარებ კიდევცო”, - უთხრა მას მისმა უდიდებულესობამ, - თავად სიცოცხლემ.

როგორ უნდა გაეხსნათ, მე ჩემი ხელით ჩავკეტე იგი ცხრაკლიტულზე და გასაღებები კი მოვისროლეო...

სიცოცხლემ უპასუხა: ცხრა კარი კი ჩაიკეტა, მაგრამ ერთი არასოდეს არ იკეტებაო, და ის კარი შენი თვალებიაო, და იმ გასაღებს, რომელიც თვალებს უნდა მოარგო, - სიცოცხლის სილამაზე ჰქვიაო! შეეცადე და დაინახე ის, თუ რაოდენ ლამაზია და ტკბილი სიცოცხლე და თუ დანახვა არ გინდა, სიცოცხლემ აბა რა დააშავაო...

- თვალები?! თვალები, თვალები... - ბუტბუტებდა კაცი და სარკეში ჩაიხედა...



რა??? სილამაზე?! სადაა სილამაზე?... ჩემი თვალები ჩამქრალია, ტკივილისა და სევდის მეტი იქ არაფერი სჩანსო, - ფიქრობდა ბედშავი.

უცებ გონებაში გაიელვა ბავშვობაში დედის დარიგებამ: - შვილო ეძიე სილამაზე და იპოვიო, - უთხრა მას დედამ, და ისეთი სიყვარულით ჩახედა შვილს თვალებში, რომ მისი ნაჯაფი და დატანჯული თვალებიდან სიყვარულის ისეთი სინათლე ამოიტყორცნა და შვილის თვალებში ჩაიდგარა, რომ მას გული ლამის საგულედან ამოუვარდა და რატომღაც ტირილი დაიწყო და დედას ჩაეკრა გულში...

მან უცებ იგრძნო ის სინათლე, დედის მარადიული სიყვარულის გულის ის ნათელი, რომელიც მას კვლავ ჩაედგარა თვალებში და... მის გულს ყინული მოსცილდა და მოხდა სასწაული, - საკუთარი თვალის ჩინის სიდრმეში შეფრინდა იგი, ჩაიძირა მასში და...

აღმოჩნდა უდაბურ გადამშრალ და გადაბუგულ უდაბნოში, მაგრამ მის თვალწინ უზარმაზარ ღოდზე უცნაური ფრინველი იჯდა, რომელიც საკუთარი დედის თვალებითა და სევდანარევი სიყვარულით უცქერდა მას.

კაცმა გაიფიქრა: კი მაგრამ ეს კარი რა კარია ასეთი, თუკი ამ უკაცურ ქვეყანაში მოვხდით... და ფრინველმა დედისავე

სევდიანი ხმით უპასუხა მას: შენ ხომ გასაღებებს ეძებო?

- და კიო, - უპასუხა კაცმა.

- ამას შენ თავად მიხვდი თუ ვინმემ დაგარიგაო? - ჰკითხა უცხო ფრინველმა დედის ალერსიანი ხმით.

- ცხოვრებამ მასწავლაო, - უთხრა კაცმა.

- მაშ მე მომყვილიო, - უთხრა ფრინველმა დედის ხმით და კაცს უკვე აღარ ეეჭვებოდა, რომ მას დედის სული მიუძღოდა წინ... და ტბეთან მიიყვანა. ყოველი ტბის შუაგულიდან წყარო ამოჩუხჩუხებდა და ტბებს კვებავდა.

- კი, მაგრამ, მე ხომ გასაღებებს ვეძებო და აქ რა მინდაო?! - ჰკითხა კაცმა ფრინველს და უცებ იგრძნო, რომ დროა დედა დაუბახოს ამ ფრინველს, მაგრამ ჯერ კიდევ ყოყმანობდა.

- დიახ, დიახ, ეს შენი გასაღებებია, - გაამხნევა დედამ. ამ ტბებში უნდა განიბანო. აქ განსაწმენდელია. შენ აქ უნდა მოიცილო ყველაფერი, რაც შენ შენი კი გგონია და გიჭირს მათი მოცილება, მაგრამ უნდა დაივიწყო ის რაცა ხარ და ოდეს განიწმინდები, აი, მაშინ გამოიღვიძებ და იცნობ შენს თავსო... უთხრა ფრინველმა (დედამ).

ადამიანი (შვილი) შევიდა ტბაში და ოდეს განბანილმა მეორე ნაპირზე შედგა ფეხი, თავი ანგელოზად იგრძნო და ისეთი

ბედნიერი იყო, რომ აღარც კი უფიქრია მეორე ტბაში შესვლა. მას ძალიან მოეწონა ახალი გრძნობები და თვისებანი ზეციური პირველივე სიწმინდისა...

მაგრამ დედა, რომელსაც უკვე ადამიანის ფეხები ჰქონდა, ფრთებით აიძულებდა ანგელოზს (შვილს) მეორე ტბისაკენ წასულიყო.

შევიდა კაცი მეორე ტბაში და... უკვე ტბის მეორე ნაპირზე მთავარანგელოზად იგრძნო თავი! ეს რაღაც ზეადმატებული ახალი გრძნობა, მას სიკეთის მთესველთა მფარველობის ძალა მინიჭებოდა... და მიხვდა, რომ მეორე გასაღებიც უპოვნია...

ამის შემდეგ უყოყმანოდ შეჰყვა ფრინველს მესამე ტბაში, იმ ფრინველს რომელსაც ფეხების გარდა ხელებიც გასჩენოდა და ფრინველთან ერთად მესამე ტბაში შევიდა...

...როდესაც მესამე ტბის ნაპირზე ამოვიდა, სრულიად სხვანაირი გრძნობა დაეუფლა მას: ეს იყო ისეთი გრძნობა, რომ იგი ყველგან და ყველაფერში არსებობს და თუ რაიმე მონატრებია მას ყველა ოცნებისაკენ გზა გახსნილი ჰქონდა...

კაცი სულ უფრო თამამად მიჰყვებოდა დედას, - მას ეჭვი უკვე აღარ ეპარებოდა დედის მფარველობაში და გაბედულად, სიამოვნებითა და უკვე საკუთარი სურვილით შეაბიჯა მეოთხე ტბაში. ტბიდან ამოსულმა იგრძნო რომ ცოდნას ფლობდა, ანუ იგი ნებისმიერი იდეის დედა აზრის ფორმაში გამოხატვის უნარი მისცემოდა, ამით მან შემოქმედების გემო იგრძნო, რომელიც უსასრულო ცოდნათა უსასრულო შემოქმედებას ნიშნავს, ანუ ეს ის ერთადერთი რამ არის, რაც უსასრულო სიცოცხლის შინაარსი გახლავთ და მას უსასრულობის წინაშე შიში სრულიად დაეკარგა.

მეხუთე ტბა. პირველმა კვლავ დედამ შეაბიჯა ტბაში და მას უკვე იდეალური, ულამაზესი ფორმის მქონე ვაჟი ამოჰყვა ტბიდან... ტბიდან ვაჟი ვაჟკაცი,

სრულფასოვანი ჰერაკლე ამოვიდა და დედას მადლიერების თვალებით შეხედა. დედა კი შეუჩერებლივ აგრძელებდა გზას და ისევ წინ მიუძღოდა უკვე სამყაროში სახელგანთქმულ გმირს, - ჰერაკლეს.

მეექვსე ტბა ოქროსფრად ელვარებდა, მას ნარინჯისფერი წყალი ავსებდა. შევიდნენ ტბაში, განვლეს იგი და ჰერაკლემ ახალი, მეექვსე, ყველაზე ძვირფასი გასაღები და თვისება ერთდროულად, სამყაროს ულამაზესი შინაარსი, - სიბრძნე - შეიძინა და ზეცაში გაისმა ღმერთების ყიჟინა:

სოლომონ ბრძენი იშვა დედამიწაზეო!

ეს იყო მეექვსე გასაღები და გულის მეექვსე თვისება, რაც კაცმა დაკარგული ცხრა გასაღებიდან სიცოცხლის გვრიგინი, - სიბრძნე - დაიბრუნა და შეიძინა იგი სამარადისოდ. სიბრძნე ხომ სამყაროში არსებობის მიზანია და ის ერთადერთი ღირებულებაა, რომელსაც ემორჩილება მთელი უსასრულო სამყარო.

... დედა კი, უკვე ქალღმერთის სრული სილამაზით შემკული, განაგრძობდა გზას და შვილი მორიგი ტბის, ნების, ძალაუფლების ტბასთან მიიყვანა და დედამ მტკიცედ შეაბიჯა მასში, შვილისათვის დაკარგული მეშვიდე გასაღების მოსანახავად.

როდესაც ტბიდან ამოვიდნენ, დედამ შეხედა შვილს და აშკარად დაინახა, რომ მისმა შვილმა მეშვიდე გასაღებიც იპოვა და მასთან ერთად ყოვლის დამძლევი ნებისყოფა შეიძინა.

ასე დამშვენებული, - თითქმის დასრულებული ღმერთკაცი, - მიჰყავდა მას საკუთარი შვილი იმ მერვე სრულყოფილებისაკენ, მიიყვანა საღაც ღმერთკაცს ყველგან და ყველაფერში ჰარმონია და მუსიკა შეაქვს, და სამყაროს მართვის უნარიც ენიჭება, რაც მისი, უკვე მერვე თვისება ხდებოდა...

და, აჰა, ეს მერვე ტბაც და ნაპირზე ამოსულებს ზეციური ჰარმონიით შეეგებნენ და სამყაროს მართვა უკვე მუსიკამ დაიწყო.

და აი, ის სანუკვარი და საბოლოო



# მ ე ლ ე ა

მიზანიც ყოველი სულდგმულისა მეცხრე  
გასაღები:

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი !!!

ეს ცისარტყელას ფერებით მოელვარე  
ტბა, უკვე ოქროსფერი ნავით გადაცურეს.  
ნავს ცისფერი აფრები ამოძრავებდა, ანძის

მწვერვალზე კი ერთადერთი, არსებობის  
მიზანი სიცოცხლის შინაარსი და ნატვრა,  
- სიყვარულის მზე კაშკაშებდა:

იშვა ღმერთი და იგი შვა დედამ, - მან  
შვილს მეცხრე გასაღებით სიყვარული  
აპოვნინა!!!



ნ.კ. რერიხი, წამბღოლი  
1924წ

\* \* \*

სიმშვიდე დაუმარცხებელი პასუხია ცხოვრების ყოველ გამოწვევაზე.

შრი ჩინმოი

\* \* \*

ლაპარაკი დაიწყე ორ შემთხვევაში: როცა შენი სიტყვის საგანი კარგად გაქვს მოფიქრებული, ან როცა რაიმეს თქმა აუცილებელია; მხოლოდ ამ შემთხვევაშია მეტყველება ღუმელზე უკეთესი, სხვა შემთხვევებში კი – სჯობს გაჩუმდე.

სოკრატე

\* \* \*

- როგორ ფიქრობ, თუ სიყვარული ნამდვილია, ის დაბრუნდება?
- არა. ის რაც არსად არ აპირებს წასვლას, მას არაფერი აქვს დასაბრუნებელი.

\* \* \*

ცხოვრება გეძლევა ერთხელ, ამიტომ იცხოვრე ისე, რომ „ზევით“ თქვან:

“ გ ა ა მ ე ო რ ე ბ ი ნ ე თ !!! ”

\* \* \*

სიტყვა ვერცხლია, ღუმელი ოქრო.

\* \* \*

სიყვარული ორ სხეულში მცხოვრები ერთი სულია.

არისტოტელე

\* \* \*

ყველას რომ ისე მოექცე, როგორც ეკადრება, არავის არ ასცდება გამათრახება.

შექსპირი

## პატივისცემის ძალა (სიყვარულის მეორე საიდუმლოება)

ახალგაზრდა კაცის სიაში მეორე-ქალბატონი მილლი ჰოპკინსი იყო. დოქტორ ჰოპკინსი ქალაქის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორი გახლდათ, უნივერსიტეტის ისტორიაში იგი პირველი ქალბატონი – პროფესორი გახლდათ. როგორც პედაგოგი, იგი კარგი სახელით იყო ცნობილი და დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა როგორც სტუდენტებში, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს შორის.

მისი ხმის ინტონაციით იოლი მისახვედრი იყო, რომ მას გაუხარდა ახალგაზრდა კაცთან მომავალი შეხვედრა. მან მტკიცედ მოითხოვა მეორე დღესვე შეხვედრა, თუნდაც მოკლე დროით. შეხვედრა დაითქვა ხუთ საათზე უნივერსიტეტის შენობაში, უშუალოდ ქალბატონ ჰოპკინსის კაბინეტში.

მიუხედავად თავისი 64 წლის ასაკისა, იგი პირველკურსელი სტუდენტი გოგონას ენთუზიაზმსა და ენერჯიას აფრქვევდა. როდესაც ახალგაზრდა კაცმა ჩინელი ახსენა, ქალბატონის ხმაში აღელვება და ენერჯიულობა გამოჩნდა.

იგი ტანმორჩილი, განიერი თეძოებით, კარგად შეკრული ქალბატონი გახლდათ. მოხდენილად ეცვა კლასიკური მუქი ლურჯი კოსტუმით თეთრი ზედაწელით, რაც მას ელეგანტურობას ანიჭებდა. ოქროსფრად მოელვარე წაბლისფერი თმები მხრებამდე ჰქონდა ჩამოშლილი, რომლებიც მოხდენილად იყო დამაგრებული კეფაზე ლამაზი სამაგრით. მართალია სახეზე უკვე ნაოჭები ეტყობოდა, მაგრამ გულითადი და მეგობრული გამომეტყველება ჰქონდა.

– მე ოცი წლის წინ შევხვდი მოხუც ჩინელს, – მიუგო მან ახალგაზრდა კაცს, – მაშინ მე სულ სხვა ადამიანი... მოხეტიალე ნარკომანი ვიყავი.

გაოცებისაგან ახალგაზრდა კაცს ყბა ჩამოუვარდა.

– თქვენ ალბათ ხუმრობთ, არა? – ნერვიულად იკითხა მან.

– არა, – უპასუხა ქალბატონმა ყოველგვარი დარცხვენისა და გაწითლების გარეშე. მე ხშირად ვარ საავადმყოფოში ნამყოფი ნარკოტიკების ზედმეტი დოზით მიღების გამო. შემდეგ მე ქურბა მელოდებოდა და ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა.

ერთხელაც საავადმყოფოს საწოლში გამედვიძა კუჭის ამორეცხვის შემდეგ და ჩემს გვერდში იჯდა ექიმი. მას ჩემი ხელი ეჭირა. კეთილი სათნო სახე ჰქონდა და გულწრფელი სიყვარულით მესაუბრებოდა. იგი პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ჩემს მიმართ ინტერესი გამოიჩინა და ჩემში პიროვნება დაინახა. ამდენი წლის შემდეგ, ვიდაც პირისპირ მესაუბრებოდა როგორც ადამიანს, ამიტომ ვერასოდეს დავივიწყებ იმ მოხუც ჩინელს.

ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ. მე მას ყველაფერი ვუამბე – ჩემი ოჯახის შესახებ, ჩემს ბავშვობაზე, ჩემს ქურბის ქალობაზე, აბსოლუტურად ყველაფერზე და იცით, უბრალოდ ყველაფერ ამაზე საუბარმა უკეთესად გამხადა. მან მითხრა, რომ ჰყავს მეგობრები, რომლებიც მე დამეხმარებიან. მან მათი სახელები და ტელეფონის ნომრები მომცა და მე შევხვდი ყოველ მათგანს. დიდება უფალს რომ შევხვდი,

რადგან მათ მასწავლებს მე ის, თუ როგორ შეიძლება ცხოვრების ხელახალი აშენება.

– თქვენ ჭეშმარიტი სიყვარულის საიდუმლოებებს გულისხმობთ? - იკითხა ახალგაზრდა კაცმა.

– დიახ. მე შევიტყვე ის ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც ჩემს ცხოვრებას სიყვარული აკლდა. *მე არ მიყვარდა საკუთარი თავი.* აი, რატომ იყო ჩემთვის ასე მნიშვნელოვანი ჭეშმარიტი სიყვარულის მეორე საიდუმლოება... პატივისცემის ძალა.

იცით რა? მე არავის და არაფერს პატივს არ ვცემდი და თუ პატივს არა სცემ, მაშინ არ გიყვარს. *თუკი გინდა ვიღაც ან რაღაც შეიყვარო, ჯერ პატივისცემა უნდა ისწავლო.* უპირველესად ყოვლისა კი ჯერ საკუთარ თავს უნდა სცე პატივი. თუ საკუთარ თავს პატივს არა სცემ, ვერც საკუთარ თავს შეიყვარებ და თუ საკუთარი თავი არ გიყვარს, სხვისი სიყვარული ძალიან ძნელია. ჩვენ ხომ მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ ბედნიერებას, როდესაც ვხედავთ ჩვენს მიმართ პატივისცემას, ასე არაა? - იკითხა ქალბატონმა მილლიმ და თვითონვე უპასუხა თავისავე კითხვას. - ჩვენ ყოველთვის როდის ვართ თანმიმდევრულად პრინციპულები, განა ჩვენ არ გამოვთქვავთ პროტესტს და აღშფოთებას, თუკი სხვისგან უპატივცემულობას ვგრძნობთ? რა თქმა უნდა, მაგრამ საკუთარი სულის სიღრმეში რომ ჩავიხედოთ, განა საკუთარი თავის პატივისცემა მართლა გაგვაჩნია? თუ ეს ასეა, მაშინ საიდან საკუთარი თავის მიმართ ამდენი შეურაცხმყოფელი საქციელი, მუდმივი ბოღმა და უკმაყოფილება? დიახ, ჯერ საკუთარ თავს უნდა სცემდე პატივს და მაშინ შეიყვარებ სხვას და დისონანსებით არ არეგ-დარეგ საზოგადოებას.

ახალგაზრდამ რაღაც ჩაინიშნა, მილლი კი განაგრძობდა: - და აი, ამაში იყო ჩემი მთავარი პრობლემა. მე არ მიყვარდა საკუთარი თავი და არც პატივისცემას ვგრძნობდი საკუთარი თავის მიმართ.

– კი მაგრამ, რატომ?

– ვფიქრობ, რომ ამის მიზეზი ჩემს ბავშვობაშია, - აუხსნა მას ქალბატონმა.

- მე უკანონო შვილი ვიყავი. სამი წლის ვიყავი, როდესაც დედაჩემი გათხოვდა. დედას ყოველთვის რცხვენოდა ჩემი და მამინაცვალს ჩემგან უცნობი მიზეზების გამო, აშკარად ვშუღდი. მასხოვს ექვსი წლისა ვიყავი, როდესაც დედაჩემმა ჩემს დებს მოხვია ხელები და მეც მივირბინე რათა მეც ჩავხუტებოდი დედას და... უხეში მუჯღუგუნისაგან წავიქეცი, - ეს ჩემი მამინაცვალი იყო. ვერასოდეს დავივიწყებ მის სიძულვილისაგან დაღმეჭილ სახეს, როდესაც ამბობდა: „შე გონჯო, მახინჯო. ეგ ეხლა ჩემი გოგონების დედაა“...

– და დედათქვენმა რა უპასუხა? - იკითხა აღელვებულმა ახალგაზრდა კაცმა და ძალით იჯერებდა ამ დაუჯერებელ სიმახინჯეს.

– აბსოლუტურად არაფერი. მან ყურადღებაც არ მომაქცია და ჩემი დებით ისე იყო გართული, რომ თითქოს მე საერთოდ არც კი ვვარსებობდი. მართლაც ხომ ძნელი დასაჯერებელია ასეთი სასტიკი მშობლების არსებობა?

მაგრამ გარწმუნებთ, რომ მე მინახავს ისეთი ადამიანები, რომლებსაც მშობლები უფრო მეტი სისასტიკით ექცეოდნენ, ვიდრე მე. არ ვიტყვი რომ მე ხშირად მცემდნენ, მაგრამ სამაგიეროდ მე საერთოდ არც სიყვარული და არც ალერსი მერგო... ასეა თუ ისე, ჩემი საკუთარი მშობლები არ მაქცევდნენ ჯეროვან ყურადღებას და ნელ-ნელა სრულიად გარიყული დავრჩი. თავს მოკვეთილად ვგრძნობდი, არავის ვუყვარდი და სიცოცხლეც შემძულდა. და იცით, ეს ალბათ ძალზედ გავრცელებული პრობლემაა: ძალზედ ბევრ ადამიანს არა აქვს საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა. მათ არ მოსწონთ საკუთარი გარეგნობა, ხმა ან ინტელექტი და ამიტომ, მათ საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა არ უჩნდებათ, სხვებთან შედარებით

თავს არასრულფასოვნად თვლიან. აი რატომ იყო საჭირო, რომ მე საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა მესწავლა და თავი შემყვარებოდა, ვიდრე სხვა ვინმეს სიყვარულს დავიმსახურებდი.

- მაგრამ საკუთარი თავის მიმართ სიყვარული როგორ შეძელით? - კვლავ იკითხა ახალგაზრდამ. - არა მგონია ეს იოლი იყო.

ქალბატონმა მილლიმ გაიღიმა.

- მართალი ბრძანდებით. ეს ყოველთვის იოლი შესასრულებელი როდია, მაგრამ შესაძლებელია. უნდა მიიღო საკუთარი თავი და დააფასო იგი იმისდა მიუხედავად, თუ რას ლაპარაკობენ ან რა შეხედულებები აქვთ სხვებს თქვენზე. უნდა გავაცნობიეროთ ის უბრალო ფაქტი, რომ ყველას თავისი ადგილი უჭირავს ამ ცხოვრებაში, რომ ყოველი ადამიანი უნიკალურია და განუმეორებელი. მაგალითად, თქვენ შესანიშნავად იცით, რომ არავინ ყოფილა თქვენნაირი და არც არასოდეს იქნება მომავალში. მხოლოდ ამისათვის შეიძლება რომ დააფასოთ ადამიანი - მდიდარი იქნება ის თუ ღარიბი, ზანგი თუ თეთრი, ქალი თუ კაცი - ყველა დასაფასებელია. მაგალითად იუდაიზმში ცნობილია ერთი ასეთი ანდაზა: „ის ვინც ერთ სულს გადაარჩენს, მთელს ქვეყანას გადაარჩენს“-ო, ეს იმას ნიშნავს რომ ყოველი ადამიანი ფასდაუდებელია კანის ფერის, რჯულის თუ ეროვნების მიუხედავად. ყოველ ადამიანს აქვს უფლება სიცოცხლისა და კიდევ ერთი, - არასოდეს დაუყენებია ბედნიერებას ადამიანი ისეთ სიმაღლეზე, რომ იგი სხვა ადამიანთა საჭიროებას არ განიცდიდეს.

- ყველაფერი ეს კარგად ჟღერს თეორიულად, მაგრამ ცხოვრებაში სულ სხვაგვარად ხდება, - თქვა ახალგაზრდა კაცმა.

- რა თქმა უნდა, რომ ასე თქვენ ყველაფრის მიმართ იქნებით მართალი, - თავის მხრივ უპასუხა მილლიმ. - მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ

ეს საერთოდ შეუძლებელია და თუკი მე ჩემს მდომარეობაში ეს მოვანერხე, დარწმუნებული ვარ ყველა შესძლებს იგივეს. საჭიროა მხოლოდ მოძებნოთ ხასიათის თვისება, რომელსაც საკუთარ თავში და სხვებში აფასებთ და პატივს სცემთ. მაგალითად ისეთი თვისება, როგორცაა სიკეთე: ყველაფრის წინაშე გაძლებს ადამიანი, ქედს არ მოიხრის და არ დაემორჩილება არავის და არაფერს, მაგრამ ყველანი ერთად მაინც ვემორჩილებით სიკეთეს.

- ვერ გავიგე, რა გინდათ რომ სთქვათ? - იკითხა ახალგაზრდამ.

- იცით რაშია საქმე, ჩვენი ტვინი საოცარი მანქანაა და დღესაც კი, მედიცინისა და მეცნიერების წარმატებათა მიუხედავად, ჩვენ მხოლოდ მის უმცირეს შესაძლებლობებს ვიცნობთ. ტვინის ერთი მეტად გამაოგნებელი თვისება არის ის, რომ ნებისმიერ კითხვაზე იგი პოულობს პასუხს. სინამდვილეში მოხუცმა ჩინელმა მე ასეთი შეკითხვა დამისვა. თავდაპირველად ვუპასუხე, რომ არც არაფერი მომწონდა ჩემში და არც არაფერს ვცემ პატივს მეტჯი.

მაშინ მან ასე მიპასუხა: „ვიცი, მაგრამ ეს რომ შესაძლებელი იყოს, შენ რას დააფასებდიო?“

მე ცოტა ხანს კიდევ ვიფიქრე და გონებაში რამდენიმე აზრმა გამიელვა. მე ვიცოდი რომ ძალზედ ნათელი გონება მაქვს, მე ყოველთვის საუკეთესო ვიყავი სკოლაში, მე მემამყებოდა რომ მარტონელამ გადავიტანე ცხოვრება და მიუხედავად ჩემი უმძიმესი მდგომარეობისა, არც არავინ მომიტყუებია და არც არავინ გამიძარცვავს. თანდათანობით საკუთარი თავის დაფასება ვისწავლე.

ახალგაზრდა კაცმა კვლავ რაღაცეები ჩაინიშნა თავის წიგნაკში, რის შემდეგაც კვლავ თვალეში შეხედა დოქტორ ჰოპკინსს.

- ასე რომ, ეკითხებოდე საკუთარ თავს

იმას, თუ რა გიყვარს შენში და რას აფასებ, - ეს ის ხერხია, რომლის მეშვეობით საკუთარი თავის პატივისცემასაც იგრძნობთ და გააძლიერებთ კიდევ მას.

ყოველ შემთხვევაში მე ეს ძალიან გამომადგა და მე თუ გამომადგა, მაშასადამე გამოადგება ყველას. თუ თქვენ შეეკითხებით საკუთარ თავს თუ რა მოგწონთ საკუთარ პიროვნებაში, ტვინი იმწამსვე მოგაწვდით პასუხს.

- და თუკი არაფერი მაქვს ისეთი?

- ნუ დარდობთ, ყოველთვის არის რაღაც და გონება სხვათა შორის ერთს კი არა, რამოდენიმე თვისებას აღნიშნავს თქვენდა სასარგებლოდ. მაგალითად თქვენ შეიძლება პატიოსანი ბრძანდებით, გაქვთ სამუშაო, რეგულარულად მუშაობთ. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას იპოვით, მთავარია რომ თქვენ ეს თვისებები გაქვთ და ამ თვისებებმა საკუთარი თავის პატივისცემა უნდა მოგიტანოთ. იგივე კითხვის დასმა მეტად სასარგებლოა სხვა ადამიანების მიმართ, *განსაკუთრებით კი იმათ მიმართ, ვინც არ გიყვართ.*

- ღმერთო ჩემო! კი მაგრამ, ეს რატომ, ეს რატომ? - აღშფოთდა ახალგაზრდა კაცი.

- იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი გონება შეეცადა დაინახოს ის, რასაც ჩვენ პატივს ვცემთ და არა ის, რაც მათში არ მოგწონთ და როცა ამას დაინახავთ, თქვენ მათდამი პატივისცემის გრძნობა, ან იქნებ სიყვარულიც კი განიცადოთ.

- როცა თქვენ ამბობთ, - სიყვარულსაც ისწავლით, ამ დროს რას გულისხმობთ?

- მოექცით მათ ყურადღებითა და სიყვარულით. ხშირად შეგიძინებიათ ალბათ, რომ ბევრი ადამიანი სხვას ექცევა სრული ამპარტანებითა და მედიდურობით, მუდმივი ბუზღუნითა და შენიშვნებით, - განაგრძო ქალბატონმა ჰოპკინსმა, - მაგრამ განა ერთი მამისაგან არა ვართ ყველა მისი ხატება და მსგავსება? შეცდომათა შორის უმძიმესი, რაც კი რამ შეიძლება დაგუშვათ ამ ცხოვრებაში,

*ეს არის ერთი რომელიმე ადამიანის ძლევა მოსილების შეუფასებლობა ან მისი დაუნახავობა.* ყველას შეუძლია სამყაროს შეცვლა და ის მართლაც ცვლის მას თავისებურად. როდესაც ადამიანის ტემპერიტი ღირებულებას ვაფასებთ, ჩვენ მასთან უკვე სხვანაირად მოპყრობას ვიწყებთ.

მახსოვს იმ დროიდან, როდესაც მე ქუჩაში მეძინა, ღამით სადარბაზოში გავიდვიძე იმისგან, რომ პოლიციელი პირდაპირ ჩემს სახეზე შარდავდა.

- რაო!!! - შეჰკივლა ახალგაზრდამ. - როგორ... როგორ გააკეთა ეს, - ყვიროდა ახალგაზრდა და აღშფოთებისაგან სულს ვერ ითქვამდა.

- ჩემნაირ ადამიანთა მიმართ მას უბრალოდ პათოლოგიური ზიზღი ჰქონდა, - უპასუხა აღელვებულ ახალგაზრდას დოქტორმა ჰოპკინსმა. - იგი არანაირ პატივისცემას არ გრძნობდა ჩემს მიმართ და არასოდეს დამავიწყდება როგორ მადგა თავზე და იცინოდა. მისთვის ეს ყველაზე საუკეთესო ხუმრობა იყო. ეს მისი, ჩემს მიმართ უპირატესობა იყო, მაგრამ *საბრალო პოლიციელმა განა რა იცოდა, რომ არსებობს მხოლოდ ერთადერთი უპირატესობა ერთი ადამიანისა მეორის მიმართ - სიკეთე!*

მე დარწმუნებული ვარ, რომ პრობლემათა უმეტესობა ამ ქვეყანაზე გაჩენილია საკუთარი თავის მიმართ, ადამიანთა მიმართ, თავისი სიცოცხლის მიმართ უპატივცემულობით. შედეგად ამისა ჩვენ აღარ გვრჩება სიყვარული. ზუსტად ამის შედეგია ის, რაც მთელს დედამიწაზე ასე კარგად ჩანს, - არაბები და ებრაელები, ზანგები და თეთრები, პროტესტანტები და კათოლიკები. თუკი ჩვენ ერთმანეთის პატივისცემას ვისწავლით, მაშინ ერთმანეთის სიყვარულსაც შევძლებთ.

რა თქმა უნდა, რომ ჯერ საკუთარი ღირებულება უნდა შეიცნო, თუ გინდა რომ სხვისი ღირებულება შეიტყო და ამ

ცოდნის შედეგად სხვისი პატივისცემა და სიყვარულიც შეძლო. თავდაპირველად ეს იწვევს მეგობრობას და თუ მართლაც ნამდვილი მეგობრობაა მიღწეული, მაშინ არცერთი არ გრძნობს რომ დავალებულია და არც მეორე ფიქრობს იმას, რომ სიკეთე ჩაიდინა. აი ასეთი დამოკიდებულებაა ნამდვილი მეგობრობა და ნამდვილი სიყვარული. ეს რომ ვისწავლე, ადამიანებთან ურთიერთობა შემიყვარდა და თავსაც ბედნიერად ვგრძნობ.

ახალგაზრდა კაცი რაღაცას იწერდა და თავის აზრებს უღიმოდა. მართლაც რომ გონივრულია ყოველივე ეს და ამასთან ერთად ესოდენ მარტივი, მაგრამ აქამდე რატომ არასოდეს მიფიქრია ამაზე? პატივისცემა ხომ უპირველესია, უამისოდ აბა სიყვარული როგორ იქნება?

– იცით რა, - იკითხა მან, - იმის შემდეგ რაც ქუჩაში იყავით, პროფესორი როგორ გახდით?

დოქტორმა ჰოპკინსმა გაიღიმა.

– ერთ-ერთი იმათთაგანი, რომელიც ჩინელის მიერ მოცემულ სიაში იყო მინიშნებული, მონაზონი იყო. ამ წმინდა ქალბატონმა წარმოუდგენელი დახმარება გამიწია. ქუჩიდან ამიყვანა და მონასტერში შემიკედლა. ჩვენ ასე მოვილაპარაკეთ: მე მონასტერში ვიცხოვრებდი, სამაგიეროდ საჭმლის კეთება, ბადის მოვლა, დალაგება მევალებოდა. ყველაფერს ვაკეთებდი. პირველივე დღიდან მე სრულფასოვანი წვერი გავხდი, როგორც ოჯახის წევრი. ისინი არასოდეს მიყურებდნენ როგორც დაცემულ ლოთს ან ზნედაცემულ ქალს. მათთვის მე ვიყავი ის მოყვასი, რომელიც მათ დახმარებას საჭიროებდა და დამეხმარნენ კიდევც. ჩემთვის ეს სიცოცხლის ახალი წახნაგი გახდა, პირველად ჩემს ცხოვრებაში მე ვიგრძენი, რომ ვიღაცას ვჭირდები. ზუსტად ამ მონაზონმა მირჩია

განათლების გაგრძელება, მან დამარწმუნა, რომ შესანიშნავი გონებითა ვარ დაჯილდოებული და უნდა გამოვიყენო იგი. მანამდე ასე არავის წავუხალისებოვარ. დავიწყე სიარული საღამოს სკოლაში. მონასტერში ყველა მხარს მიჭერდა და შვიდ წელიწადში პირველი ხარისხის ფრიადონის დიპლომი მივიღე. შემდეგ წელიწადს მაგისტრის წოდება მივიღე და სამი წლის შემდეგ უკვე დოქტორი გავხდი. ეს ყველაზე ღირსშესანიშნავი და ბედნიერი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. მონასტრის ყველა მონაზონი დაესწრო ამ ცერემონიალს და რა დამავიწყებს იმას, როდესაც ჩემი სახელი ამოიკითხეს და სცენაზე ავედი დიპლომის მისაღებად. როცა დიპლომი გადმომცეს, შემოვბრუნდი და დავინახე მომღიმარი, ოცი მონაზონი როგორ მიკრავდა ტაშს. როცა ჩამოვდიოდი სცენიდან, ერთი ადამიანი შევნიშნე აუდიტორიის მეორე მხარეს, ეს მოხუცი ჩინელი იყო, მან ხელებადმართულმა დამიკრა ტაში და გაიღიმა.

იმავე საღამოს ახალგაზრდა კაცმა შეაჯერა თავისი ჩანაწერები, რომლებიც გააკეთა ქალბატონ მილლი ჰოპკინსთან:

*ქეშმარიტი სიყვარულის მეორე საიდუმლოება – პატივისცემის ძალაა.*

ვიდრე შეიყვარებ ვინმეს, ჯერ მისი პატივისცემა ისწავლე.

უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავს უნდა სცე პატივი.

რათა საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა შევიძინოთ, საჭიროა ხშირად შევეკითხოთ საკუთარ თავს: „რათვისებებია ჩემში პატივსაცემი?“

სხვების მიმართ პატივისცემის გრძნობის შესაძენად – იმ ადამიანებთანაც მიმართებაში, რომლებიც არ მოგწონთ, – ჰკითხეთ საკუთარ თავს: „რა არის პატივსაცემი მათში?“

\* \* \*

პლატონი

- სხვის ბედნიერებაზე ზრუნვით, ჩვენს ბედნიერებასაც ვპოულობთ.
- ღმერთს ყველაფერი არ შეუქმნია, მან მხოლოდ კარგი შექმნა.
- სიმამაცე, - ეს იმის ცოდნაა, თუ რისი არ უნდა გეშინოდეს.
- ადამიანი იმით ფასდება, თუ როგორ იყენებს ძალაუფლებას.
- სიმართლეს ბევრი მომხრე ჰყავს, მაგრამ ცოტაა დამცველი.
- ყოველგვარი სიბრძნის საფუძველია მოთმინება.
- ერთდროულად იყო ძალიან კარგი და ძალიან მდიდარი, - შეუძლებელია.
- სინარულიც და მწუნარებაც იმაში ჰგვანან ერთმანეთს, რომ ორივე ერთნაირად გვიხშობს გონებას.
- იცოდე, რა არის სამართლიანი, გრძნობდე, რა არის მშვენიერი, გასურდეს რაც კარგია, - ეს არის გონიერი ცხოვრების მიზანი.
- პოლიტიკა - ეს ერთად ცხოვრების ხელოვნებაა.

\* \* \*

რისთვის მოვიდნენ ადამიანები დედამიწაზე?

მე ძალიან მაწუხებდა ეს შეკითხვა და დღენიადაგ მახსენებდა იგი. ერთადერთი რაც მოვახერხე, ეს იყო ის, რომ მე ჩამოვაყალიბე შეკითხვები, რომელთა გადაწყვეტას შეეძლო კაცობრიობის გადარჩენა, მაგრამ შეკითხვებზე პასუხი არ მქონდა და ღმერთს შევავედრე მათზე პასუხის გაცემა. აი, ჩემი შეკითხვები და ზეცის მამის პასუხები, დარიგებანი და ჩემს მიმართ, ამ შეკითხვათა გამო, მისი ლოცვა-კურთხევა...

- როგორ ვანუგეშო ხალხი უფალო?
- მხოლოდ შენი ძალითა და დიდებით!
- როგორ დავიცვა ადამიანები სისაზიზღრეებისაგან?
- მხოლოდ შენი სინარულით!
- როგორ უნდა ვჩუქნიდე ადამიანებს ბედნიერების სითბოს?
- მხოლოდ შენი სინათლით!
- როგორ გავანდო ადამიანებს ჭეშმარიტება?
- მხოლოდ შენი ნების ძალით!
- როგორ უნდა შევიყვარო ადამიანები?
- მთელი გულით!
- როგორ გადავარჩინო ისინი?
- მთელი სულითა და გულით!
- როგორ დავამშვიდო ხალხი?
- მთელი ალერსით!
- როგორ გავაძლიერო ხალხი?
- მთელი რწმენით!
- როგორ განვადიდო ხალხი?
- შენი დიდებით!
- როგორ განვკურნო ისინი?
- შენი სიტყვით!
- როგორ გავუბღვე ხალხს?
- შენი სახელით!

მიყვარხარ შენ!

გადიდებ შენ!

მესმის შენი!

გულო ყოვლის მომცველო!

ნატალი სიმონგულიანი



## ღედა ტერეზა

– მე ვთხოვე ღმერთს წაეღო მთელი ჩემი ამპარტავნება და მან უარი მითხრა, რომელიც ასე ამიხსნა: ამპარტავნებას ვერაფერს მოგაცილებს. იგი უნდა უარჰყო.



– მე ვთხოვე ღმერთს მოთმინების ნობათი და ღმერთმა მითხრა „არა“. მოთმინება ცხოვრებისაგან შექნილი გამოცდილების შედეგია და მას არ ჩუქნიან, არამედ თავადვე იძენენო.

– მე ვთხოვე ღმერთს ეჩუქნა ბედნიერება და ღმერთმა მითხრა „არა“. მან მითხრა, რომ მლოცავს და ვიქნები ბედნიერი თუ არა, ეს უკვე ჩემზეა დამოკიდებული.

– მე ვთხოვე ღმერთს ტკივილები-საგან დაცვა და ღმერთმა მითხრა „არა“. მან მითხრა, რომ ტანჯვა გაგვათავისუფლებს ყოფითი ცხოვრების ზედმეტი საზრუნავისაგან და ამით

მასთან, - ღმერთთან, - დაგვაახლოვებს.

– მე ვთხოვე ღმერთს სულიერი ზრდა და მან მითხრა „არა“. მან მითხრა, რომ სული მე თვითონ, თავადვე უნდა გაგზარდო.

– მე ვთხოვე ღმერთს დახმარება იმაზედ, რომ შემყვარებოდა სხვანი ისე, როგორც მას ვუყვარვარ მე და მან მიპასუხა: „ბოლოს და ბოლოს როგორც იქნა მიხვდი იმას, თუ რა უნდა მთხოვო!“

– მე ვთხოვე მას ძალა და ღმერთმა კი განსაცდელეები გამომიგზავნა, რათა მიმეღო წვრთნა და მითხრა: მხოლოდ ასე გაძლიერდებიო. მე ვთხოვე სიბრძნე და მან პრობლემები გამომიგზავნა, რომლებზედაც უნდა მეფიქრა და თავი მემტვრია სიბრძნის შესაძენად.

– მე ვთხოვე ვაჟკაცობა და სიმამაცე და ღმერთმა ფათურაკები გამომიგზავნა ამ თვისებათა ჩემში აღსაზრდელად.

მე ვთხოვე ღმერთს სიყვარული და ღმერთმა ისეთი ხალხი გამომიგზავნა, ვისაც ჩემი დახმარება ესაჭიროებოდა და მათმა ტკივილებმა და ტანჯვამ ისე მატკინეს გული, რომ მე სიყვარული და თანაგრძნობა შევიძინე.

– მე ვთხოვე სიკეთე და მან სიკეთის ქმნის შესაძლებლობანი გამომიგზავნა და გავხდი ქველმოქმედი.

მე ვერაფერი მივიღე მისგან, რაცა ვთხოვე.

მე მივიღე მისგან ყველაფერი, რაც მჭირდებოდა.

\* \* \*

## აგნი იოგა

აღშფოთება, – სიყვარულის გამო იბადება.

ურუსვატიმ იცის, რომ ენერჯის ქმედითუნარიანობა სიყვარულის გრძნობის გაძლიერების საფუძველზე იზრდება: აღშფოთება მხოლოდ სიყვარულის გამო ხდება;

– თუ ადამიანმა სიყვარული არ იცის, ის ვერასოდეს ვერ აღშფოთდება. იგი საერთოდ ვერ აღშფოთდება და ვერ შექმნის ენერჯიების დაძაბულობას.



ნ.კ. რერიხი, მსვლელობა ჯოჯოხეთში 1933წ.

შეიძლება ორი ტიპის ადამიანთა გარჩევა: გულანთებულნი და მბუუტაენი. ასეთი ადამიანები სხვადასხვა პოლუსებს წარმოადგენენ და ისინი ერთმანეთს ვერასოდეს ვერ გაუგებენ.

ასევეა წვრილ სამყაროშიც, - აქაც ასეთივე ორი ბანაკი არსებობს. ძლიერი თავზარდაცემა საჭიროა იმისათვის, რომ გულის ლალი აინთოს და გაბრწყინდეს. ადამიანები მიწიერიდან მოდიან, ხასიათიც მიწიერისაგან აქვთ ჩამოყალიბებული და რა თქმა უნდა, იმავე მიდრეკილებებით უაზროდ დაეხეტებიან წვრილ სამყაროში.

ძალიან დიდ შრომას ვეწვეით ასეთ არეულ ადამიანთა გარდასაქმნელად. ამისათვის ძლიერ შეგრძნებებს მივმართავთ, რათა ვიბრაციებმა გაარღვიონ მთვლემარე გულები. ამ დროს დიდი ენერჯიები იხარჯება, მაგრამ ადამიანებს როდი ესმით ის, თუ რა განსაკუთრებულ ზომებს ვღებულობთ ჩვენ, რათა ავანთოთ გულები და ისწავლონ გულებმა ენერჯიების დაძაბვა.

ჩვენ დიდ პატივს ვცემთ პლატონის ანდერძს გულების გაღვიძების შესახებ.

იგი ამბობს: „მძინარე გული საფლავსა ჰგავს. მისი ხვედრია ნაცარში ბუუტვა, რაც თავის მხრივ იწვევს ხრწნას. დაე, დაგვიცვას ჩვენმა ბედმა ამგვარი ხრწნისაგან, - იყო ცოცხალი და ნაცარში იფერფლებოდე.

უსამართლობაზე აღშფოთება, - ბრძენის თვალის ახელის სასწაულმოქმედი სამკურნალო საშუალებაა.”

ურუსვატიმ იცის ის, თუ რამდენად მისაღებია და საჭირო აღშფოთება. ადამიანებმა თითქოსდა უნდა იცოდნენ ეს, მაგრამ საუბრებში საჭიროა არა ერთხელ აღინიშნოს ასეთი დაძაბულობა, სხვაგვარად სიკეთე არ იქნება სწორად გაგებული, - მას უნაყოფობას დააბრალებენ.

მაგრამ შეუძლია კი ადამიანს დუმილის შენარჩუნება, როდესაც მის თვალწინ ამაზრზენი დანაშაულებანი ხდებიან?

არავის არასოდეს არ უანდერძებია გულგრილობა იქ, სადაც ადამიანის ღირსება იბღალბება.

რა ნუგეშის მომტანი უნდა იყვეს თქვენთვის ის, თუ სიმხდალის გამო თქვენ ბოროტმოქმედის თანამონაწილე ხდებით. ან ვინ მოგცემთ ამის უფლებას? მიწიერი ბელადებიც კი გვთავაზობენ ვისწავლოთ ცხოვრება იქ, სადაც ფათერაკებია. ასეთ დაძაბულობას ჩვენც გირჩევთ. მუდმივი დაძაბულობა ვიბრაციების შენარჩუნების დისციპლინაა.

უგუნურია ის, ვინც გაფრთხილებთ თქვენ, რომ დაძაბულობა ანგრევს სხეულს. პირიქით, დაძაბულობა იწვევს იმ მიმოცვლას სხეულში, რომელსაც გაახალგაზრდავება მოჰყვება.

ნუ გგონიათ, რომ დაძაბულობა დადლილობის მიზეზია. ძალ-ღონის ამოშრება, დაღვრემილობა და მოწყენა იწვევენ უბედურებებს, მაგრამ აღტაცება ბრწყინვალე განახლების წყაროა. ასე რომ, ნუ შეგვაშინებენ ტვირთი და დაძაბულობანი.

მხოლოდ უმეცართათვის იქნებიან ისინი დამქანცველი უბედურებანი. თუ მათ ამ პანაცეასაგან დასვენება სჭირდებათ, სასაფლაოზე განისვენონ. მაგრამ ადამიანი რომელიც აღმასვლისათვის მზადაა, მზარდ დატვრთვებსა და დაძაბულობებს ზეიმურობისაკენ მიმავალ კარიბჭედ მონათლავს. აი, ზუსტად ასეთი ადამიანი აღშფოთდება მაშინ, როდესაც მისი თანდასწრებით შეურაცხყოფენ ყველაზე წმინდასა და უზენაესს.

ჩვენ მოგეწონს, როდესაც ძლიერ ბრწყინავენ სამართლიანი აღშფოთების სხივები.

ძველი სამყაროს გასტუმრებისას, ძალზედ ხშირად დაგვეჭირდება დაძაბულობანი და საჭიროა დაძაბულობათა ენერგიების უმოკლესი გზებით მიმართვა.

პლატონი ამბობდა, რომ უსამართლობის მიმართ აღშფოთება, დაბრმავებულთა მიმართ სასწაულებრივ მკურნალობას წარმოადგენს.

/ტიბეტის - ჰიმალაი. ცოცხალი ეთიკა „ზემიწიერი.“ ნაწილი 2/  
ელენე რერიხი



ნ.კ.რერიხი, შამბალას ნათება. 1940წ

# იერუსალიმის მოხსენება

## ზინაიდა მირკინა

ყოველი ჭეშმარიტად რელიგიური გრძნობის სათავე – სიყვარულისადმი უსაზღვრო ნდობაა. ვენდობი, იმიტომ რომ მიყვარს. ვენდობი, იმიტომ რომ ვგრძნობ ჩემს განუყოფელობას იმ გონებისადმი მიუწვდომელ სიდიდესთან, რომელიც ჩემს შინაგან უსასრულოებად გარდაიქცა.



– „მე უშენოდ არაფერი ვარ, მაგრამ შენ თავად რა ხარ უჩემოდ?“  
– უთხრა სილუზიელმა მისტიკოსმა ღმერთს. გაბედული მკრეხელობამდის ნათქვამი სიტყვებია, თუმცა სრულიად კანონზომიერნი. იგი გრძნობს ღმერთს როგორც იმ ერთმთლიანს, რომელშიდაც იმალება მისი არსი.  
– „ჩემი არსი არა ჩემში, არამედ შენშია, და აი ზუსტად ამიტომ შენ უჩემოდ, სრულიად უმნიშვნელო სიმცირის გარეშე სრული არა ხარ, არა ხარ მთლიანი. ჩვენ ერთნი ვართ. და ესაა ის დიადი ზეიმი, რომელიც აღემატება ყოველ მიხვედრას თუ გონების ჭყლეტით მიღებულ დასკვნას, აღემატება ყველაფერს, რასაც მოიფიქრებს ტვინი. მე არა ვარ ცალკე არსება, - მე შენი ნაწილი ვარ. აი ესაა გულის ცოდნის

გულით ცოდნის ზღვარი“.  
უსასრულოებასთან შეხვედრა... სასრული გონება თითქოს მიაღება თავის შესაძლებლობათა ზღვარს. თუმცა მოკვდავი გულით გრძნობს, რომ იგი ცალკე სრულყოფილებას მოწყვეტილი არსება კი არაა, არამედ დიადი ერთმთლიანის განუყოფელი ნაწილია. აი, ამ ერთმთლიანთან ერთობაში პოულობს იგი თავის შინაარსს.  
ასეთი შეხვედრის ერთადერთ პირობას წარმოადგენს მხოლოდ სრული განსნილობა, გულის გაშიშვლება, ყოველნაირი სამოსელის მოცილება, რომლებიც მოკვდავმა გონებამ მოქსოვა. ის, რადაც ჩვენში არსებული, უსასრულოდ ჩვენზე უპირატესი ჩვენს საჭიროებას განიცდის და იქნებ არც ისე ნაკლებად, ვიდრე ჩვენ გვჭირდება იგი! ერთმთლიანის, მისი ყოველი ნაწილის მიმართ საჭიროების გრძნობაა აი ის, იღუმადლი და საიდუმლო შეგრძნება - შეგრძნება ღმერთის სიყვარულისა, რომელსაც ჩაწვდება ყოველი, ვინც მარადიულ რეალობას შეხვდება პირისპირ.  
აი, ასეთი წინაღობისას იბადება სრული, უტყუარი ცოდნა იმისა, რომ ჩვენ ყველას ერთიანი საწყისი გაგვაჩნია და აი, ისაა ის ერთადერთი არსება. ღმერთი მთლიანობაა!  
ჩვენ ძალიან შორს დავცილდით ჩვენსავე საიდუმლო საწყისს. ჩვენ გავიფანტეთ, დაგნაწვევრდით - და მე, მესმის ის, თუ რამდენად ძნელია ამ საწყისში კვლავ დაბრუნება და ამასთან ერთად ისიც, თუ რამხელა წინააღმდეგობის შექმნა შეუძლიან მას. და არც ისე ბევრნი არიან ისეთნი, რომლებსაც საკუთარი თავი მორწმუნეებად მიაჩნიათ და ასეთი შეხვედრა აქვთ განცდილი. ასევე ცოტანი

არჩან ისეთებიც, ვინც იცის ის, თუ რა არის ეს. და მაინც, ისინი, ვინც ასეთი შეხვედრა განიცადა, შეადგენენ ერთგვარ უხილავ, იქნებ მთელს დედამიწაზე მიმობნეულ თემს. ქრისტიანობაში ამას უხილავი ეკლესია ჰქვია. თომას მერტონის ენაზე ამ უხილავ ეკლესიას ჭეშმარიტ მჭვრეტელთა თანამეგობრობა ჰქვია. მარტინ ბუბერის ენაზე, ეს ალბათ ისეთ ადამიანთა თანამეგობრობა იქნებოდა, რომლებიც ღმერთზე მესამე პირში არ ლაპარაკობენ: სუფიების ენაზე – ესაა ღმერთზე, საკუთარ არსზე შეყვარებულთა ისეთი საზოგადოება, რომლებიც ლეგენდარულ გმირთა მსგავსად შეყვარებულნი იყვნენ საკუთარ მზეთუნახავებზედ.

ამასთან ძალიან ახლოს დგანან სოლომონ მეფის გალობანი, ვედების მრავალი ჰიმნი და XX საუკუნის დიდი მისტიური პოეტის, რაბინდრანათ თაგორის უამრავი ლექსი მიძღვნილი ღმერთისადმი, როგორც უკვდავი და უსაყვარლესი შემოქმედისადმი: “ მე მჭირდები შენ და მხოლოდ შენ. დაე,

უსასრულოდ იმეორებდნენ ამას ბაგენი და გული ჩემი.”

მათ, ვინც საკუთარ უკვდავ, უსასრულო საწყის შეხვალ საკუთარ გულში, უსიტყვოდ ესმით ერთმანეთისა. ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი ერთნაირები არიან. ერთმანეთის ზედაპირული მსგავსება ნიშნავს შტამპს, უნიფიკაციას. მაგრამ ფორმათა უსასრულობას ერთიანი სიღრმე გააჩნია (ისე როგორც ხეს, ყველა თავისი ტოტებითა და ფოთლებით, ერთიანი ღეროთი, ფესვებითა და წვენით). და აი, ამაშია სიცოცხლის საიდუმლოება. იგი ღვთიურია, იგი თავად არს ღმერთი.

ჩვენი ამოცანაა იმ სიღრმეების ძიება, სადაც შეხვედრა გარდაუვალია, სადაც მუდამდებია ჩვენი ერთარსობა. ეს შეხვედრა ზედაპირზე როდი არსებობს. იგი მხოლოდ სიღრმეშია. შეხვედრები ღმერთთან და მისი ხელშეწყობით, მასში და ერთმანეთთან. მაგრამ ზუსტად იქ, სიღრმეში, ჩვენ არ გვიშვებენ ის ჩახერგილობანი, რომლებიც ჩვენ, ზედაპირზე გავაშენეთ.



ნ.კ.რერიხი, მადონა მფარველი  
1933წ.

# სულის ძახილი

## გარდასახვა

აღბათ ყველაზე ამოუცნობი,  
ჯერ დაბადება კვირტა  
შემდეგ სამყაროს გამონათება,  
ფიქრთა ჭიდილში იშვა.

აზრთა ტრიალი არსებობაში,  
სული სხეულის მიზნად,  
ცნობიერება სინამდვილეში,  
კვლავ უკვდავებად იქცა.

აღბათ ყველაზე ამოუცნობი,  
გრძნობა მზის სხივებს მისწვდა,  
მუდმივი აზრი განახლებებისა  
კვლავ სიყვარულში იშვა.

სიტყვას შემორჩა ზუსტი გაგება,  
მარადისობას ღვთისას,  
არსებობისთვის ადამიანი  
ღმერთის დიდ გრძნობას მიხვდა.

\* \* \*

აბა რამდენად,  
გრძნობის სიმწიფე,  
აბა რამდენად,  
ხდები რჩეული?!

აბა რამდენად შეუცნობელი  
შეცნობა გახდა შეურყეველი?!

ყოვლის მიზეზი სიყვარულია,  
კაცობრიობაც სიყვარულს ეტრფის,  
ამ გრძნობის პოვნა  
რჩეულთ ხვედრია,  
გულში არსებობს  
ის როგორც ღმერთი.  
სამყაროს გული,  
თუ სადმე ნახეთ,  
შესვით სურვილი

გრძნობათა ფერში,  
თვით უკვდავება,  
მისი ხვედრია,  
როცა სხეული  
განცლებით ეტრფის,  
სული სინათლის,  
გახდა მემკვიდრე,  
ყველგან ინთება  
გრძნობათა ცეცხლში.  
შემოვიკრიბოთ  
უკვდავი ძალა  
მზის სხივით ვქარგოთ  
სიცოცხლის ღმერთი.

## აზრების საწმისი

გარსკვლავებს ვეცეკვმე,  
სურვილის წყაროში  
სიცოცხლედ ჩავიცვი  
სხივების სამოსი.

გრძნობების მეგზური,  
ღღე გახდა სამოთხის,  
აზრების საწმისი  
გულიდან გადმომდის.  
მზემ ღამეს სინათლე  
სიზმრებად ჩაუწნა,  
გრძნობამორეული  
მდელოზე გაუშვა.  
ოცნებებს ავყევი,  
მეც შევსვი ფიალა.  
სამყაროს აზრებში  
ღმერთმა მაზიარა.

ციური ღვთაება  
ცნობიერს ადიდებს,  
მზის მკრთალი სხივები  
ღამესაც აღვიძებს.

ამ სხივში ვიპოვე  
დროთა სინამდვილე  
სულში ხეტიალის  
გზებს რომ მიაღვილებს.  
მომავლის სინათლეს  
დიდებულ სივრცეში,  
შევეწყე გრძნობებით  
უხილავ სინთეზში.  
უკვდავი სიმები  
სიცოცხლის საწყისებს  
ნოტებში ჩააწნავს,  
სინათლეს აღირსებს.  
სიწმინდის მნათობი  
სხეულის განძია,  
გულიდან გულებში  
მარად რომ ანთია.  
უხილავს ვუწოდე...  
აზრების საწმისი!  
სამყაროს თანამგზავრს  
სამების ხმას შევწვდი.

სულის გეგმა

ფიქრში ჩაძირულა  
სულის სამყოფელი.  
გრძნობაც უჩვეულ  
ძალამ ჩაითრია.  
ისევ მონატრებით  
შემაქვს საფუძველი.  
გული სინდისის ხმას  
როგორ აყლია.  
მინდა მთვიპოვო  
აზრთა სინამდვილე,  
მინდა მარად შევსვა  
სულის ჰარმონია,  
მინდა სამყაროში  
ვარსკვლავთ სიკაშკაშით  
ძალავ სიყვარულის  
გერქვას აგონია!  
ჩურჩულს ვიწყებ ხმაში,  
ფიქრმა სიდრმე მომცა,  
მარად იწყებს კავშირს  
მარადიულობა.

დრო და სივრცე ფორმით  
ხდება მატერია,  
მსგავსის მიზიდვისას  
ხდება მიმსგავსება.

ხო და მინდა ვიყოთ!  
ისევ მაღლა ცისკენ,  
ისევ გონებით რომ  
ვწეროთ სიმფონია,  
ისევ ღმერთის ხმაზე  
გკვებოთ სიყვარული.  
თვალი თვალის გულში  
თვალთვალს მიეჩვია.

სიდრმე მდუმარების  
როგორ მენატრები,  
ჩემი გულწრფელობის  
გრძნობა შეგრჩენია,  
სული შემომქმედი  
ვნებებს ამიშლის და  
ფერთა სინათლეში  
შექმნის მელოდიას.

სივრცე უკვდავების  
ხმაში მონარნარე,  
სხივში შემალულ  
გრძნობის იმპერია,  
ვარსკვლავთ სიყვარულზე  
იშვა სინამდვილე,  
დროში გაბრწყინებაც  
დროის სინათლეა.

კვლავაც იბადება  
გრძნობა საოცარი,  
პოვნა უდიდესის  
ღმერთთან კავშირშია,  
მინდა მუდამ ვიგრძნოთ  
სრული სინამდვილე,  
რადგან სიყვარულში  
იშვა ჰარმონია.

ხათუნა ელიაშვილი

